სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 იანვარი 2004 №15 (2034) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავფიცოთ საქართველო!

ხუთმა ჯვარმა დაგვიფაროს ძველთა სიძვათაგან

მიხეილ სააკაშვილმა ახალი დრო ახალი დროშით და ხალხის იმედებით დაიწყო



ძველი მუღამი ახლებურად: დი-ნა-მო!

მოსკოვური ესენგეს ტურნირი მოიგო გუნდმა, რომლის

პატრონსაც მოსკოვი ეძებს

გოლი რატული: არისტოკრატული



გუშინ გარდაიცვალა დიდი ქართველი კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე

გადავრჩი!

ლომაიამ მეხიც მოიგერია და დინამოსაც უყურა

ჩვენი საქმე ხუთიანზე ვიცითო, იმ პილოტებმა უნდა თქვან, ოთხშაბათს ღამით „კრასაეროს“ ლაინერით ანთალიიდან მოსკოვისკენ რომ გაფრინდნენ. „სპარტაკი“ თურქული შეკრებიდან შინ ბრუნდებოდა. ღრუბლიანობის გამო ფრენა საათნახევრით გადაიდო, ბოლოს რეისი მაინც შედგა და ღამის საბედისწეროც გამოდგა...

ანთალიაში, „ეფეს თასის“ ტურნირზე არაერთი ძნელი დარტყმის მომგერიებელი გიორგი ლომაია კოლეგებს, კოვალევსკის და ზუევს ესაუბრებოდა, წინა სავარძელზე ტიტოვი ანეკდოტებს ყვებოდა და უცებ სალონში სამარისებური სიჩუმე ჩამონვა...

11 კილომეტრის სიმაღლეზე ლაინერის წინ ცეცხლი გაჩნდა, თვითმფრინავი მარცხნივ გადაქანდა და გრუხუნიც გაისმა. კოშმარი თითქმის ნახევარ წუთს გაგრძელდა, სიტყვის თქმას ვერავინ ახერხებდა, მწვრთნელ-ფეხბურთელები გაყინული მზერით სასწაულის მოლოდინში იყვნენ, სასწაული კი მართლაც მოახდინეს პილოტებმა, რადგან მეხდაცემული თვითმფრინავი მსუბუქად დასვეს მოსკოვის აეროპორტში. დაფრენის შემდეგ გაირკვა, რომ ლაინერს მეხის დაცემისგან მარცხენა ფრთა სულ გაშავებული ჰქონდა. მოკლედ, ლომაია და მისი თანაგუნდელები ბეწვზე გადაურჩნენ სიკვდილს.

გიორგი ლომაიას გუშინ „თანამეგობრობის თასის“ ფინალური მატჩისას ტრიბუნაზე მოვკარით თვალი და, ცხადია, კოშმარული ფრენის გარდა „დინამოზეც“ ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— სიკვდილს თვალებში ჩავხედერა არ ვიფიქრე, იმ წუთში... ახლა იოლია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ რომ მახსენდება...

— ასეთი ძლიერი დარტყმა იყო?

— თითქმის ერთი საათის განმავლობაში გვაქანავებდა. თვითმფრინავმა წონასწორობა ძლივს დაიბრუნა. ფრთაზე ნაპერწკლებიც გამოჩნდა. უფრო ხმამ შეგვაშინა, ძალიან დიდი ხმაური იყო. ერთი სიტყვით, მაგრად გადავრჩით.

— და ასე გადარჩენილი გუშინ „დინამო“ — „სკონტოს“ მატჩზეც დაგინახეთ.

— ეს „დინამო“ რა ყოფილა... მართლა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მიხარია, რომ ბიჭებმა კარგად ითამაშეს და ჩემპიონები გახდნენ. მთელი დარბაზი აღფრთოვანებული იყო დინამოელთა თამაშით.

— რუსებს ალბათ გაუკვირდებოდათ...

— „დინამოსგან“ რაღაცას კი ელოდნენ, მაგრამ ჩემპიონი თუ გახდებოდა, ეს ალბათ მათთვის მოულოდნელი იყო. რა ვიცი, მგონი, ამ „დინამოში“ ფეხბურთელს არ დატოვებენ, სელექციონერები გაფაციცებული ცდილობენ ქართველებთან კონტაქტის დამყარებას. ეს დღესაც აშკარად იგრძნობოდა.

— თამაშზე როგორ აღმოჩნდი? „სპარტაკი“ ხომ მოსკოვშიც შეკრებაზეა...

— ჰო, მაგრამ მწვრთნელებმა გამათავისუფლეს რამდენიმე საათით. ფინალს ვუყურე და ბაზაზეც დავბრუნდი.

— თურქეთის ტრავმა მოიშუშე?

— კი. ახლა არაფერს ვუჩივი და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

— „კრივბასთან“ ამხანაგურ მატჩში რატომ არ ითამაშე?

— სკალამ მითხრა, გარისკვას არ ვაპირებო. ამიტომაც სათადარიგო ვიყავი.

— სამ დღეში კი ესპანეთშიც მიდიხართ...

— იქ უფრო სერიოზული სპარინგები გვექნება და ესპანეთშიც უნდა დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები. სკამზე ისედაც დიდ ხანს ვიჯექი, ახლა თამაშის დროა.

კახა შალამბერიძე

კიევის „დინამო“ გერმანულ შეკრებას განაგრძობს. კიეველებმა მორიგ ამხანაგურ მეტოქედ ისევ ბუნდესლიგური ყლუბი აირჩიეს და. „ოლიმპიაშტადიონზე“ ამ არენის ერთ-ერთი ბინადარი, „მიუნხენ 1860“ 1:0 დაამარცხეს. როგორც „შტუტგარტთან“, ამჯერზეც 90 წუთი ითამაშა ალეკო ამისულაშვილმა. მისი გარჯა შეუმჩნეველი არც ჩვენს გერმანელ კოლეგებს დარჩენიათ. აი, რას წერს გერმანული „კიკერი“: „კიეველები თავს საკმაოდ კარგად იცავდნენ, ყველა მაღალი ბურთი, რომელიც „დინამოს“ საკარიმოსკენ იგზავნებოდა, ამისაიშვილის (ეს გერმანელთა უნებლიე შეცდომაა) ნადავლი ხდებოდა“.

ბუნებრივია, ჩვენ თავად ალეკოს კომენტარები ვარჩიეთ...

ამისულაშვილმა კიევში სათავო ოფისი მოიწყო

ამისაიშვილი გუტ! გერმანელებს გვარი შეეშალათ, შეფასება არა

— სანახავად კარგი, დაძაბული თამაში გამოდგა. შეხვედრას ეშხს მშვენიერი სტადიონი მატებდა. „ოლიმპიაშტადიონზე“ აქამდე არასოდეს მითამაშია და მართლაც საუცხოო რამ ყოფილა. ბევრი მაყურებელი არ მოსულა, დაახლოებით 5-7 ათასი კაცი იქნებოდა. მომენტები ორივე გუნდმა ბლომად შექმნა.

— მიხაილიჩენკომ ისევ ექსპერიმენტებს მიმართა თუ ჩვეულ ამპლუაში გათამაშა?

— ამჯერად ორივე ტაიმი ცენტრში ვიდექი, ისევ კაცის აყვანა მევალებოდა. მეც ხან ლაუტის, ხანაც შროტის წინააღმდეგ მიწევდა თამაში. მგონი, დავალება ურიგოდ არ შევასრულე.

— კაცზე თამაში აღარ გაგიჭირდა?

— გაჭირვებით არც „შტუტგარტთან“ გამჭირვებია, უბარლოდ, „დინამოში“ ზონურ დაცვას ვთამაშობდით და მას სულ სხვა სპეციფიკა აქვს. ისე, მცველს პერსონალურად თავდამსხმელზე თამაში რატომ უნდა გაუჭირდეს?!

— გერმანული სააგენტოები შენს თავით თამაშზე ამახვილებენ ყურადღებას...

— განსაკუთრებული არაფერი. 44-ე წუთზე ჩერნატის გოლის შემდეგ გერმანელებმა თამაში გადააწყვეს და ფლანგურ ჩაწოდებებს უმატეს. ბურთი სულ ჩემკენ მოდიოდა და ხომ უნდოდა გამოტანა. ბუნდესლიგის კლუბები ოპტიმალურ ფორმაში არიან მათი ჩემპიონატი მალე იწყება, ჩვენ კი 7 მარტს ვიწყებთ.

— მიხაილიჩენკომ მოგიწონა თამაში?

— მას საერთოდ არ ახასიათებს კომპლიმენტები. მით უმეტს, მე ხომ ახალი ფეხბურთელი ვარ. ისე, ყველა მეუბნება, რომ საქმეები კარგად მიდის. ალბათ კიევში ჩასვლისას ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. ხვალ დილით უკვე კიევში გავემგზავრებით.

— „დინამომ“ რომ ესენგეს თასი მოიგო, გაიგებდი...

— გავიგე და ძალიან გამიხარდა. ბიჭებს „სარბიელით“ ვულოცავ წარმატებას. გული კი მწყდება, რომ მათთან ერთად არ ვიყავი. მეც მინდოდა „დინამოსთან“ ერთად რაიმე ტიტულის მოგება, მაგრამ, ალბათ გამიგებთ, ჩემი კარიერისთვის ასე ჯობდა. ისე, აქ თანაგუნდელებმაც მომილოცეს. მოკლედ, ძალიან გამახარეს ბიჭებმა.

დავით ერაძე

ნეტავ რამდენი უკლია ალეკო ამისულაშვილს კიევურ გოლამდე?

იტალია

სერია A. XVIII ტური

ემპოლი 3:3 იუვენტუსი

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXI ტური

ბილბაო 1:0 დეპორტივო

პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

გიმარაეში 0:1 ბენფიკა

ბელგია

იუპილერლიგა. XIX ტური

ბრიუგე 5:0 სერკლ ბრიუგე

მექსიკა

კლაუსურა. II ტური

ირაპუატო 2:3 ტეკოსი

პუებლა 1:2 სან ლუისი

ჩვენი ეზო

ჰეი, თბილისის „დინამომ“, უფრო სწორად, ახალი სახელით „დინამო თბილისმა“, სინამდვილეში კი „დინამომ“ რაღაც მოიგო. „რაღაც“ — ესენგეს თასია. შეგვიძლია, „რაღაც“ დავუძახოთ, მაგრამ არა ამ თასის მნიშვნელობის დასამცირებლად, არამედ იმის გამოსახატად, რომ ძალიან დიდი ხანია, არაფერი მოუგია.

ბოლოს და ბოლოს, რაღაც მოიგო, მაგრამ ეს „ბოლოს და ბოლოს“ ასევე არ არის სწორი სიტყვა. თუმცა, მართლა ბოლოს-დაბოლოს არის.

ეს სიტყვათა არევა მღელვარების ბრალია.

მღელვარება კი იმის ბრალი, რომ „დინამომ“ მართლა კარგად ითამაშა. კარგა ხანია, „დინამოს“ ასე არ უთამაშია, ასეთი მოსაწონი გოლები არ გაუტანია, ასე არ უბრძოლია. ჩავხედოთ ისტორიულ სტატისტიკას, როდის შემოუტრიალებია „დინამოს“ ზედიზედ ორი თამაში? ანდა, როდის უბრძოლია ძაღლივით და მაინც მოუგია მაშინ, როცა თამაში არ გამოსვლია? ანდა, ამდენი ლამაზი გოლი როდის გვინახავს ერთად?

ახლა იოლია იმის თქმა, რომ მაინც პავლოდარს, გომელს, ტირასპოლს და რიგას მოვუგეთ. მაგრამ ამის თქმა მთლად მართალი არ იქნება იმიტომ, რომ ეს გუნდები ორგანიზებული გუნდებია, ჯანიც მოსდგამთ და მოწინააღმდეგის წვალებაც ეხერხებათ.

რა თქმა უნდა, ეს არ არის რიო დე ჟანეირო, მაგრამ იმ რუსულ ხელოვნურ გაზონზე გამოჩნდა, რომ ეს თბილისია, თბილისური ფეხბურთია და პავლოდარსა და რიგაში თბილისურმა ფეხბურთმა ყოველთვის უნდა იმარჯვოს, იმიტომ, რომ ეს თბილისური ფეხბურთია და როცა თბილისური ფეხბურთი გამოდის, ბურთი სულ სხვანაირად დაფრინავს და დაგორავს.

მოსკოვში მოთამაშე „დინამო“ გაგვახსენებდა ჩვენს ძველ ეზოსაც და ეს მომხიბვლელი იყო, ვინაიდან ეს არის ჩვენი ფეხბურთის მთავარი ხიბლი. მაგრამ ჩვენს გუნდს გამოაჩნდა ტაქტიკაც, ჯანიც და საბრძოლო უტეხობაც. ჰოდა, ის „ბოლოს და ბოლოს“ და „რაღაც“ სწორედ ამას გულისხმობს: კარგახანია, „დინამოს“ თამაშში ერთად და თანაბრად არ ყოფილა ჩვენი ეზო, იმათი ჯანი, თანამედროვე ტაქტიკა და მებრძოლი სული.

ეს ერთად იყო და „დინამომაც“ მოიგო.

კარგი იქნებოდა, რუსთა და უკრაინელთა ძლიერ გუნდებსაც შევჯახებოდით, მაგრამ არ გამოვიდა და რას იზამ. დასაფიქრებელი კი ამ სასიხარულო გამარჯვების საღამოს ის არის, რომ ახლა შუა ზამთარია და არ ვიცით, როგორი ფორმითა და შემადგენლობით შეეგებება „დინამო“ ზაფხულის ბოლოს თვეს — ევროპის თამაშებს. კარგ თამაშს ხომ კარგი ტრანსფერები მოსდევს-ხოლმე, ვნახოთ...

და მაინც, ჩვენი ეზო კარგი იყო — ასეთი ძველი და ასეთი ახლობელი. ნამდვილი ჩვენებური ფეხბურთი გამარჯვებული გამოვიდა. საუცხოოა!

დიდი ნაბიჯი მოსკოვისკენ

რომელიც შეიძლება დაიშალოს

25 იანვარი, საქართველოსთვის ისტორიული დღე, მოსკოვში, ცსკა-ს მანეჟში მისულმა ქართველობამ ესენგეს თასზე „დინამოს" გამარჯვებითაც აღნიშნა.

ამ თაობის დინამოელებმა მიაღწიეს იმას, რაც არველაძეების, ქინქლაძის, ჯალაძის, ნემსაძის, ჯამარიულის, იაშვილისა და სხვათა თაობებს ვერ მიეღწიათ. ქართველები ფინალურ მატჩშიც, ისევე როგორც მთელ ტურნირზე, ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე

„დინამო" ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და ნიკიტა სიმონიანმა დააჯილდოვეს

... გოლი ამჯერადაც პირველებმა მიიღეს, მაგრამ ისევ არ გატყდნენ. სამი გატანილიდან კი სამივე ნებისმიერი რანგის ტურნირის მშვენება გახდებოდა.

ლატვიელებმა ჩვეული, პრაგმატული ფეხბურთი ითამაშეს. ზუსტად ასე თამაშობს ევრო 2004-ზე გასული მათი ნაკრები. გასაკვირი ამაში არაფერია: „სკონტოს" მთავარი მწვრთნელი სტარკოვსი ხომ ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა.

ბუნებრივია, მატჩს ბევრი ჩვენი მკითხველიც ნახავდა, მაგრამ ზემოთ ნახსენები ულამაზესი გოლები რომ არ აღვწეროთ, არ იქნება...

44-ე წუთზე ბურდულმა ჩვეული სისწრაფით ჩაირბინა თავის ფლანგზე და ალექსიძე მონახა. რატომ ქუსლით ბურთი ჰაერში ასწია, დარასელიამ მას დაშვება არ აცალა და მყისიერად რიგელთა საჯარიმოში შეიგდო, გზად ორ მეტოქეს აუარა გვერდი და ბურთზე ჭვინტის წარტყმით წონასწორობა აღადგინა.

77-ე წუთზე ბურდული ბუიტკუსს გასცდა და ბურთი ალექსიძეს გადააწოდა, რატომ ჰაერშივე, ვარდნით, შეუჩერებლად დაარტყა. პეიდელსი უძლური იყო. ბოლოს კი... დავით კვირკველიამ ინდივიდუალური გარღვევა წამოიწყო, ორ მეტოქეს გასცდა და საჯარიმოში შეუსვლელად დაარტყა — 3:1. გახარებული კვირკველია სკამისკენ გაიქცა და იქ მსხდომ დინამოელთა ალყაში აღმოჩნდა. ეს გამარჯვება იყო!

თბილისელებს ესენგეს თასი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და ვიცე-პრეზიდენტმა ნიკიტა სიმონიანმა გადასცეს. შემდეგ დინამოელებმა ივო შუშაკი ჰაერში აისროლეს და იქ შეკრებილ ქართველობას მთელი ტურნირის განმავლობაში გულიანი ქომაგობისთვის მადლობა გადაუხადეს. ვიტალი დარასელია 6 გატანილი ბურთით ტურნირის ბომბარდირი გახდა და სათანადო პრიზიც მიიღო. დინამოელებს ტურნირის საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი თასიც გადაეცათ. საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი დაწესებული არ იყო.

ქართველები მოსკოვის ჰაერში: მიხეილ ბობოხიძე და ზურაბ მენთეშაშვილი

მატჩის შემდეგ ფინალისტი გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა ასეთი კომენტარი გააკეთეს:

ალექსანდრ სტარკოვსი: თანაბარი და ღირსეული მეტოქეების ფინალი იყო. ასეთ დროს გადამწყვეტი იღბალი უნდა ყოფილიყო, რომელიც „დინამოს" მხარეზე იყო. თუმცა ისე არ იფიქროთ, თითქოს თბილისელებს დამსახურებას ვუკარგავდე. მათ მართლაც ღირსეულად გაიმარჯვეს.

ივო შუშაკი: ძლიერი მეტოქე გვყავდა. რიგელებს თამაშამდეც ჯეროვნად ვაფასებდი. ჩვენ ამ ტურნირზე უკვე მეორედ გავუშვით პირველი გოლი, მაგრამ ბიჭები ერთხელაც არ გატყდნენ. შესვენებისას მათ წინ წასვლა მოვთხოვე იმიტომ, რომ ვხვდებოდი, ძალა უფრო მეტი ჩემს ფეხბურთელებს შერჩენოდათ. ჩემმა რისკმა გაამართლა. მიხარია, რომ „დინამოს" წარმატება დაეთხვა საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვან დღეს. ჩვენს პრეზიდენტს და მთლიანად ქართველ ერს მცირე საფეხბურთო საჩუქარი მივუძღვენით.

თამაშის შემდეგ მატჩის გმირები ჩვენს რესპონდენტებად იქცნენ...

ვიტალი დარასელია: საოცრად გახარებული ვარ. ამდენი ხანია, „დინამო" ვთამაშობ და სერიოზულ წარმატებას პირველად მივაღწიე. ვფიქრობ, ჩვენი უპირატესობა არც ერთ მეტოქესთან, არც ერთ მატჩში არ გაგვიხდია საეჭვო. ტურნირზე წარმატება ცალკეულ ფეხბურთელებს არ უზეიმიათ, გაიმარჯვა მთლიანად გუნდმა. ფინალურ მატჩში სერიოზული მეტოქე კი გვყავდა, მაგრამ რიგელები აშკარად ჩვენზე ნაკლები შემართებით და მოტივაციით გამოვიდნენ და დაისაჯნენ კიდეც.

გიორგი შაშიაშვილი: ბედნიერი ვარ, როგორც კაპიტანს, თასი პირველად მე გადმომეცა და ეს მართლაც დიდებული გრძნობა ყოფილა. ჩვენ არც გაშვებულ გოლს გავუტეხივართ. თანაც ამდენი გულშემატკივარი ბოლოს როდის გვყავდა, აღარც გვახსოვს. თამაშის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ რიგელები ჩვენზე მეტად დაიღალნენ. ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ საკმაოდ ბევრი პრობლემა გვქონდა ტურნირის მსვლელობისას.

ლადო ბურდული: ორ საგოლე შეტევაში მივიღე მონაწილეობა და უაღრესად გახარებული ვარ. ჩვენ ეს მოგება დავიმსახურეთ და ვფიქრობ, ქართველ გულშემატკივარს მცირე სიხარული მაინც ვაჩუქეთ. ამით დაკარგული ნდობის აღდგენაც უნდა შეეძლოთ. ახლა ისეთ ხასიათზე ვართ, რომ კიდევ ერთ ფინალს ვითამაშებდით.

რატი ალექსიძე: გოლი რომ გავიტანე, პირველმა, რამაც თავში გამირბინა, თბილისში რა ხდება-მეთქი. 0:1-ზე კი ავნერვიულდით, მაგრამ ვიტალის საუცხოო გოლმა ყველა დაგვამშვიდა. მერე ლადომ ისეთი პასი მომცა, რომ მისი დაუფასებლობა წარმოუდგენელი იქნებოდა. კვირკველიამ მთელი თამაშის განმავლობაში იმდენი ირბინა, გოლის გატანას ისიც იმსახურებდა. ამდენი გულშემატკივარი და ასეთი გულიანი ქომაგობა ლიგის თამაშზეც არ გვყოლია. გვქომაგობდნენ რუსებიც. ისინი თამაშის მერე მოდიოდნენ და გვილოცავდნენ. ალბათ ყველას დავანახვეთ, რომ შეკრული გუნდი ვართ. გული მწყდება, რომ ეს შემადგენლობა შეიძლება დაიშალოს. არადა, ჩვენ ერთად ბევრის მიღწევა შეგვეძლო. ამ მოგებას და გატანილ გოლსაც ყველა ქართველ გულშემატკივარს ვუძღვნი.

ტურნირზე დინამოელთა თამაშისა და წარმატების შეფასება „დინამოს" სპორტულ დირექტორს **გივი ნოდიას** ვთხოვეთ.

— ბატონო გივი, მოსკოვის საფეხბურთო წრეებში უამრავი ნაცნობი გყავთ. როგორ აფასებდნენ თქვენი დინამოელთა თამაშს?

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, გეტყვით, რომ ყველაზე პრესტიჟულმა რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა" წერილი ასე დაასათაურა — „დაგვიბრუნდა ძველი „დინამო"? ბევრმა ვეტერანმა ფეხბურთელმა მითხრა, რომ ქართველთა თამაშმა დიდი სიამოვნება მიანიჭა. ყველა მეუბნებოდა, ინდივიდუალიზმს ქართველებისგან ნაჩვევი ვართ, მაგრამ გუნდური, დისციპლინირებული თამაში მართლაც საოცრად მოგიხდათო. ჩვენ ჩემპიონის თასის გარდა საუკეთესო გუნდის თასიც გადმოგვეცა.

— რომ დაეწესებინათ, ალბათ, საუკეთესო გოლისთვის პრიზსაც დინამოელი მიიღებდა...

— აუცილებლად. ოღონდ მიჭირს, გითხრათ, ზუსტად რომელი: მთელი ტურნირის განმავლობაში არაერთი ულამაზესი გოლი გავიტანეთ.

— არ ყოფილა პრიზი საუკეთესო მოთამაშისთვისაც, მაგრამ პირადად თქვენ ვის დაასახელებდით?

— ვიტალი დარასელიას. იგი „დინამოს" მამოძრავებელი ძალა იყო.

— ბუნებრივია, ამგვარი ტურნირები სელექციონერთა ინტერესს იწვევს. დინამოელთა თამაში არაერთი კლუბის ყურადღებას მიიქცევდა...

— რამდენიმე სერიოზული კლუბი ძალიან დაინტერესდა ჩვენი გუნდის არაერთი ფეხბურთელით. მიხარია, რომ ბურდული, ალექსიძე, შაშიაშვილი, მიუხედავათ იმისა, რომ კონტრაქტი უმთავრდებათ, არ ჩქარობენ კლუბის დატოვებას. თავის მხრივ, არც ჩვენ შევაფერხებთ იმ დინამოელებს, ვისაც მართლაც მაღალი დონის კლუბები მიიწვევენ.

— როგორ ფიქრობთ, გაამართლა ტურნირმა?

— უდავოდ! სხვათა შორის, თვითონ რუსი და უკრაინელი ჟურნალისტები თუ ფეხბურთის სპეციალისტები არ ერიდებოდნენ ცსკა-ს და კიევის „დინამოს" ხელმძღვანელების კრიტიკას. ვერავინ ახსნა, თუ რატომ არ გამოიყვანეს უძლიერესი შემადგენლობები. თუმცა კიეველებმა არც მთლად ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს. აქაური სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება შეეძლოთ მიეღოთ „ლოკომოტივს" და „სპარტაკს". ამათ უეფას ტურნირებზე აქვთ სათამაშო. ჩვენმა სერიოზულმა მიდგომამ კი სასურველი ნაყოფი გამოიღო. სამი დღით ადრე ჩამოვედით და ამით ჩვენს ბიჭებსაც შთავუნერგეთ, ტურნირს სერიოზულად მოპყრობოდნენ.

დავით ერაძე

სნგ-ს თასი. ფინალი

დინამო (საქართველო) 3:1 სკონტო (ლატვია)

0:1 კალნინშსი (31), 1:1 დარასელია (44), 2:1 ალექსიძე (78), 3:1 კვირკველია (85)

დინამო: გვარამაძე, ახალაია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია, ანჩაბაძე, ალექსიძე, მელქაძე (ბობოხიძე 69)

მწვრთნელი: ივო შუშაკი

სკონტო: პიეიდელსი, ლაგიეკა (ბლანკსი 81), ზემლინსკისი, ისაკოვსი, ლოგინსი, ჰორლალიძე (სემიონოვსი 68), ლობანიოვსი (ზაკრეშევსკისი 88), ბუიტკუსი, მენთეშაშვილი, კალნინშსი, მიხოლაპსი (ს. სტარკოვსი 88)

მწვრთნელი: ალექსანდრს სტარკოვსი

გაფრთხილება: ბურდული (65), ბლანკსი (86)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

7 000 მაყურებელი

ნეტავი მანდ ვიყო!

გახოკიძემ 3:2 ივარჯიშა

შაბათს გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ერთ-ერთი კონკურენტი — „ტილბურგი“ 3:2 დაამარცხა სტუმრად და საუეფასთასო ზონისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. მეტიც, „ტვენტე“ სალიგო მესამე ადგილზე წამოსკუპებულ „ალკმაარს“ ოთხი ქულით ჩამორჩება, არადა, დეკემბრის დასაწყისში სხვაობა 11 ქულა იყო.

გახოკიძის თამაში შაბათს სათუო გახლდათ. გოგა ვერა და ვერ ჩადგა მწყობრში ნოემბერში მიღებული ტრავმის შემდეგ. ნატკენმა ტერფმა გახოკიძეს წინა ოთხშაბათს „ტვენტეს“ საშუასეზონო ბოლო საკონტროლო მატჩში „გლადბახთან“ თამაშის საშუალება არ მისცა და ექიმებმა ქართველს ურჩიეს, „ტილბურგზე“ ფიქრი თავიდან ამოიგდეო, თუმც „ტვენტეს“ თავკაცი ვან დერ ეიკენი სხვაგვარად ფიქრობდა. მწვრთნელმა გახოკიძე ტილბურგშიც ჩაიყვანა და ბოლო ნახევარი საათი მოედანზეც შეუშვა.

გოგას გუშინ ენსხედეში მაშინ დავუკავშირდით, პირდაპირ ეთერში საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას რომ უყურებდა

— გული მწყდება, რომ ახლა თბილისში არ ვარ. მნიშვნელოვანი მომენტია თითოეული ქართველისთვის და საშუალება რომ მქონდეს, ამ ზეიმის მონაწილე სიამოვნებით ვიქნებოდი. ყველას გილოცავთ ამ ისტორიულ დღეს. ბედნიერი და გახარებული ვარ, რაღაცნაირად იმედი მომეცა, მჯერა, ახალ ქვეყანაში მოგვიწევს ცხოვრება და ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.

— დღევანდელ დღესთან ერთად ტილბურგში მოგებასაც გილოცავ. როგორი თამაში იყო?

— ყველა ველოდით, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა. „ტილბურგი“ აქამდე ჩვენს ზემოთ იყო სატურნირო ცხრილში, თანაც ჩვენი მეტოქე ამ სეზონში ტრადიციულად კარგად თამაშობს შინ. აქედან გამომდინარე, ბევრი ფიქრობდა, რომ წარმატების ნაკლები შანსი გვქონდა, თუმც ერთობ იოლად მოვიგეთ. ათი წუთიც არ იყო გასული, კოლინ ჯონმა ლამაზი თავური რომ შეაგდო, პირველ ტაიმშივე რამზიმ კონტრშეტევაზე დაიჭირა ტილბურგელები და შესვენებაზე ორბურთიანი ფორით გავედით.

— მატჩის წინ თქვი, რომ თქვი ძალიან არ დასჭირდებოდი გუნდს, შეცვლაზეც არ ითამაშებდი...

— ადვილად ვიგებდით, გახსნილი თამაში იყო და მწვრთნელმა მითხრა, მიდი, ტერფი აამოძრავე, ფორმაში ჩასადგომად შეგეშველებაო და უფრო ამიტომ შემიშვა ვან დერ ეიკენმა მოედანზე. შევედი და ხუთ წუთში გოლიც გავიტანე, მაგრამ მსაჯმა არ ჩამითვალა, თამაშგარეაო. არადა, ასპროცენტიანი გოლი იყო, ნამატჩევს ვიდეოფირზეც არაერთხელ ვნახე.

— ნკუფოს მესამე გოლში ხომ არ მიგიღია მონაწილეობა?

— არა, მაგრამ მთლიანობაში კარგად ვითამაშე. ორჯერ ძელს გავარტყი ბურთი, ერთხელაც მეკარემ ამიღო ექვსი მეტრიდან. მოკლედ, კმაყოფილი დავრჩი.

— ტერფს ხომ არ შეუწუხებიხარ?

— არა, ბურთთან კონტაქტისას ტკივილი არ მიგრძვნია, იმედი მაქვს, მომავალ ტურში ძირითადში ვითამაშებ. ამ სეზონში ცუდად მოთამაშე „ვიტესს“ ვმასპინძლობთ და თუ მოვიგეთ, ლიდერებში გავერევით.

პაატა კვანტალიანი

რეხვიაშვილს ჩამოლიგება არ უნდა. ნაკრები უნდა

ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი კვლავაც უკლუბოდაა. შაბათს რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რეხვიაშვილი პირველლიგელ „ანჟიში“ გადადისო. ისიც ითქვა, ქართველი მახაჩყალელებს პირველ თებერვალს თურქულ შეკრებაზე გაჰყვებაო.

ალექსანდრე რეხვიაშვილს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ.

— „ანჟიში“ შენი გადასვლა რეალურია?

— მახაჩყალელები ჩემით დაინტერესდნენ. გუშინწინ ყოფილი მოსკოვის სპარტაკელი ევგენი კუზნეცოვი მესაუბრა. დღეს იგი „ანჟის“ მწვრთნელია და მითხრა, ძალიან გვჭირდები, კარგ პირობებს შეგიქმნით და ჩვენთან წამოდიო.

— რა უპასუხე?

— კონკრეტული არაფერი. პირობებს და მატერიალურ მხარეს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. პირველ რიგში იმაზე ვფიქრობ, რომ ეროვნულ ნაკრებში მსურს თამაში და რუსული პირველი ლიგიდან ნაკრებში მოხვედრა ძალიან გამიჭირდება, ამიტომ კუზნეცოვს „ანჟიში“ გადასვლის პირობა ვერ მივეცი.

— ითქვა, რეხვიაშვილი თურქულ შეკრებაზე გაჰყვება მახაჩყალელებსო...

— „ანჟი“ პირველ თებერვალს მიდის თურქეთში, იქამდე ერთი კვირაა, ამ დროში კი ბევრი რამ შეიძლება გადაწყდეს. კუზნეცოვსაც ეს ვუთხარი, თუ უკეთესი ვარიანტი გამომჩნდა, ჩემი იმედი არ გქონდეთ-მეთქი. შესაძლოა, „ანჟის“ მართლაც გავყვე თურქეთში, მაგრამ ეს უფრო ფორმის შესანარჩუნებლად. მოკლედ, რუსულ პრემიერლიგაში ჩემი მსურველი თუ არავინ გამოჩნდა, მაშინლა გადავალ „ანჟიში“. ისე, რუსეთის პირველი ლიგიდან რამდენიმე წინადადება აქამდეც მქონდა, მაგრამ... უკიდურეს სიტუაციაში თუ არ მოვხვდი, პირველ ლიგაში თამაშს არ ვაპირებ.

პაატა კვანტალიანი



რეხვიაშვილმა ჯერ არ იცის, სად გააგორებს ბურთს

გუგუშვილმა პირველი შქართველებოდ მოიგო

გუშინ საბერძნეთის ჩემპიონატში ოფიციალურად შედგა ქართველი მწვრთნელის და პრეზიდენტის ნათლობა. ელგუჯა გუგუშვილის გაწვრთნილმა ჯონი გიგანის პირველლიგელმა „იანინამ“ ახალ მწვრთნელს და მეპატრონეს კარგი საჩუქარი უძღვნა და შინ მეხუთეადგილოსანი „აპრონტოსი“ წამოაქცია. „იანინამ“ 3:0 მოიგო და ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილიდან მეცხრეზე აინაცვლა

იმ დღეს არ უთამაშიათ კლუბის ქართველ ახალწვეულებს. ვახტანგ ხვადაგიანი და ლაშა ჯაკობია სათადარიგოთა სკამზეც არ მსხდარან...

ელგუჯა გუგუშვილს გუშინდელი მატჩის დამთავრებისთანავე შევეხმიანეთ იანინაში.

— რთული მატჩი გვქონდა. ჩვენი დღევანდელი მეტოქე უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის, მაგრამ ჩემმა გუნდმა ბოლომდე შეასრულა დავალება და დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ნათქვამია, მოკლედ, კმაყოფილი ვარ.

— იანინაში რა სიტუაცია დაგხვდათ?

— საქმიანი. კლუბის რიგითი მუშაკიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული, ყველა პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. იანინაში ჩასვლისთანავე ვავარჯიშე გუნდი, ორი დღის შემდეგ კი საკონტროლო. მატჩი ვითამაშეთ „ოკნიცასთან“ და 2:0 მოვიგეთ. დღეს კი პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო ჩემთვის და ძალზე ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ.

— ვახტანგ ხვადაგიანის და ლაშა ჯაკობიას საქმე როგორაა, გავიგეთ, მათ არ უთამაშიათ...

— ხვადაგიანი და ჯაკობია სათადარიგოთა სკამზეც არ ყოფილან, მიზეზი ის გახლავთ,რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ მათი შეყვანა „იანინას“ განაცხადში.

— რა პრობლემაა?

— მეც არ ვიცი, ფეხბურთელებს საბუთები წესრიგში აქვთ, უბრალოდ, აქაურ ფედერაციაშაი გვიჯანჯლებენ საქმეს, თუმც იმედი მაქვს, მომდევნო კალენდარული მატჩისთვის ხვადაგიანის და ჯაკობიას განაცხადში შეყვანა მოხერხდება. მომდევნო ტურში „სოსკირას“ ვეთამაშებით, ეს გუნდი ლიდერთა შორისაა და ვიცი, გაგვიჭირდება, თუმც, რაღა თქმა უნდა მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

პაატა კვანტალიანი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა:

დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

უი, კოშტას პირველი გოლი

REUTERS რომიდან

რომა — უდინეზე. ნესტორ სენსინისა და ანტონიო კასანოს თავდაუზოგავი შეხლა

იტალია

სერია A. XVIII ტური

მილანი 5:0 ანკონა

1:0 შევჩენკო (64პ), 2:0 რუი კოშტა (71), 3:0 ტომასონი (78პ), 4:0, 5:0 კაკა (84, 90)

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (სერჟინიო 82), რუი კოშტა, კაკა, შევჩენკო (ტომასონი 75)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ანკონა: მარკონი, სარტორი, მალტალიატი, მილანეზე, ზავანო, სომეზე (პანდევი 68), დ. ანდერსონი, დ. ბაჯო, ბერეტა, ჟარდელი (ფალკო 85), გრაბი (დეგანო 36)

მწვრთნელი: ნედო სონეტი

გაფრთხილება: ზავანო, სომეზე, სარტორი, ნესტა

მსაჯი: პალანკა

55 000 მაყურებელი

რომა 1:1 უდინეზე

1:0 პანუჩი (15), 1:1 იანკულოვსკი (88)

რომა: ძოტი, ძებინა (დელასი 50), ვ. სამუელი, პანუჩი, მანსინი, ემერსონი, დაკური, ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო (დელვეკიო 86), კარეუ (კანდელა 35)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუში, ალბერტო (კასტრომანი 71), პინცი (იაკინტა 61), პაზიენცა (იანკერი 85), იანკულოვსკი, მუნტარი, იორგენსენი, ფავა

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: დაკური, პაზიენცა, მუნტარი, დელვეკიო

მსაჯი: ტრეფოლონი

50 000 მაყურებელი

მოდენა 1:1 ინტერი

0:1 რეკობა (11), 1:1 მაკინვა (41)

მილანეტომ ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)

მოდენა: ბალოტა, პივოტო (პავანი 32), ჩევოლი, გრანდონი, კამპედელი, მარასკო, მილანეტო, დომიცი (მუსიჩი 78), ბალესტრი, მაკინვა (მარაცინა 82), ვინიაროლი

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, ფ. კანავარო, ჰელვეგი (პასკუალე 42), ლამუში, ფარინოსი, კ. ძანეტი, ვან დერ მეიდე (კარაგუნისი 70), რეკობა, ო. მარტინესი (ადრიანო 46)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

გაფრთხილება: ვინიაროლი, ფარინოსი, კორდობა

მსაჯი: კოლინა

19 000 მაყურებელი

ლეჩე 0:1 ლაციო

0:1 სეზანი (55)

ლეჩე: სიჩინიანო, სივილია (ვ. დალმა 80), ბოვო, სტოვინი, რულო (მ. ესპოზიტო 50), კასეტი, ლედესმა, ბოლანო (ჯაკომაცი 75), ტონეტო, ჩევანტონი, ბოჟინოვი

მწვრთნელი: დელიო როსი

ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (ლივერანი 63), ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი, სეზარი (ალბერტინი 90), კორადი, კ. ლოპესი (მუცი 81)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: სივილია, კასეტი, სეზარი, კასეტი, ჯანიკედა, ლედესმა, კორადი

გაძევება: კასეტი (59)

მსაჯი: დონდარინი

3 545 მაყურებელი

პარმა 0:0 ბოლონია

პარმა: ს. ფრეი, მ. კასტელანი, მ. ფერარი, პ. კანავარო, ჟუნიორი, ბარონე, დონადელი, მარკიონი (როზინა 71), მორფეო (კარბონე 59), ბრეშიანო, ჯილარდინო

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, გამბერინი, მორეტი, ნერვო, ლ. კოლუჩი, ნაკატა, მეგნი (გულიელმინპიეტრო 46), ლოკატელი (პეკია 71), ტარე (როსინი 84)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: ბარონე, კოლუჩი, გულიელმინპიეტრო, ნატალი, როზინა

გაძევება: კარლო მაცონე (61, „ბოლონიას" მწვრთნელი)

მსაჯი: ბერგონცი

13 000 მაყურებელი

სამპდორია 2:0 რეჯინა

1:0, 2:0 ბაცანი (44, 46)

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, საკეტი, ფალკონე, ბეტარინი, დიანა (პალომბო 67), ვოლპი, დონატი, დონი (პედონე 80), ბაცანი, ფლაკი (ჩიპრიანი 41)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი (მოცარტი 64), ტორიზი, ჯაკეტა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, ბაიოკო, ფალზინი, კოცა, დი მიკელე (ლეონი 72), ბონაცოლი

მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე

გაფრთხილება: ბონაცოლი, კოცა, ვოლპი

მსაჯი: კასარა

25 000 მაყურებელი

კიევო 3:1 ბრეშა

0:1 კარაჩოლო (9), 1:1 ბარძალი (51), 2:1 სანტანა (73), 3:1 სკული (83)

კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, დანა, ბარძალი, მალაგო, ლუსიანო (სემიოლი 58), პეროტა (ბარონიო 79), ძანეტა, სანტანა, ფ. კოსატო, პელიციერი (სკული 62)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

ბრეშა: ალიარდი, ჟ. მარტინესი, მარეკო, დი ბიაჯო, მაური, ჯ. კოლუჩი, ბრიგი, მატუზალემი, ბაკინი, დელ ნერო (შოპი 62), კარაჩოლო

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: პეროტა, მალაგო, მატუზალემი, სკული, დი ბიაჯო, დანა

მსაჯი: ფარინა

11 594 მაყურებელი

სიენა 2:1 პერუჯა

0:1 რავანელი (5), 1:1 ფლო (87), 2:1 მენეგაცო (90)

სიენა: ჯ. როსი, კუფრე, არჯილი, მინანი, გიგუ (კიუზა 60), ტადეი, ვერგასოლა, დავერსა, ლაზეტიჩი (ფერნანდო 66), ტ. ფლო, ვენტოლა (კუჩარი 89)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

პერუჯა: კალაჩი, ნასტოსი, დი ლორეტო, ინოფო, ზე მარია, ტედესკო, ობოდო, დი ფრანჩესკო (კარდინალე 62), გროსო, რავანელი (უბნერი 46), ბოტროიდი (გატი 75)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: დი ლორეტო, გროსო, ინოფო, დავერსა, გროსო, უბნერი, მინანი

გაძევება: გროსო (58), ჯუზეპე პაპადოპულო (90, „სიენას" მწვრთნელი)

მსაჯი: მესინა

11 000 მაყურებელი

ემპოლი — იუვენტუსი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ესაა მიზეზი თუ ის, მიმდინარე სეზონში „პერუჯა" რომ აგებს ცნობილი ამბავია. ერთი სიტყვით, უმბრიელთა მორიგ მარცხს ყურადღებას სულ არ მივაქცევდით ერთი გარემოება რომ არა — მათგან გოლი იტალიურ ფეხბურთში დაბრუნებულმა ფაბრიციო რავანელიმ გაიტანა და მე-5 წუთზე შეგდებული ამ ჯარიმის წყალობით სტუმრები 87-ე წუთამდე წინ იყვნენ, მერე კი ჩარხი უკულმა დაუტრიალდათ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პერუჯელები 58-ე წუთის შემდეგ მოედანზე უმცირესობაში იყვნენ — ფაბიო გროსო მეორე ყვითლისთვის გააძევეს.

მაგრამ ჩვენ ამ ამბავს აქვე დავანებოთ თავი და დიდი გუნდების თავგადასავალს მივხედოთ. დავიწყოთ „რომათი". სავარაუდოდ, იტალიის დედაქალაქის ამ გუნდს სხვადასხვა პროფილის მწვრთნელებთან ერთად ფლიდობა-თაღლითობის სპეციალისტიც ავარჯიშებთ და, როგორც ჩანს, ძალიან კარგად. გუნდის კაპიტნისა და ლიდერის, ფრანჩესკო ტოტის ცრუ წაქცევებისა და ტყუილების ამბავი ხომ საქვეყნოდ არის ცნობილი და „უდინეზესთან" მატჩის მიწურულს შეცვლაზე არცთუ დიდი ხნის შესულმა მარკო დელვეკიომ ხელით ისეთი გოლი შეაგდო და ზედაც ისეთი ზეიმი მიაყოლა, რომ მარადონას შეშურდებოდა. კიდევ კარგი, დელვეკიოს ხელბურთი მსაჯებმა შენიშნეს და ეპიზოდი ყვითლად შეაფასეს. შედეგად, მატჩი ფეხით გატანილი გოლების მიხედვით 1:1 დასრულდა და უნდა ითქვას, რომ სამართლიანად. მართალია, „რომა" მთელი შეხვედრის განმავლობაში იგებდა, მაგრამ უკეთ ვერ თამაშობდა, ხოლო დაცვის შეცდომების გამო მის კართან ფრიად უსიამოვნო მომენტებიც იქმნებოდა, რომელთაგან ერთი იანკულოვსკის ძლიერი და ზუსტი დარტყმით დასრულდა. „რომაელთაგან" მე-15 წუთზე კრისტიან პანუჩიმ შეაგდო.

და ამასობაში „მილანმა" „ანკონას" 5:0 დაატეხა თავს. ეს გახლდათ „შავ-წითელთა" კიდევ ერთი თამაში კახა კალაძის გარეშე, მაგრამ ამაში იმდენად გასაოცარი არაფერია, რამდენიც იმაში, რომ ამ შეხვედრაში გოლი რუი კოშტამ გაიტანა. დიახ, ეს იყო ამ პორტუგალიელი გამთამაშებლის პირველი გოლი სერია A-ში სამი წლის მანძილზე.

„ანკონას" წინააღმდეგ მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ანდრეი შევჩენკოს პარტნიორად თავდასხმაში ბრაზილიელი კაკა განაწესა, ხოლო „ანკონას" ფრიად განახლებული შემადგენლობა ჰყავდა. „მილანთან" უიღბლო დებიუტი გამოუვიდათ ცნობილ მოთამაშეებს, დინო ბაჯოსა და მარიო ჟარდელს. საინტერესოა, რომ ამ ხუთგოლიანი შეხვედრის 64-ე წუთამდე 0:0 იყო, მაგრამ მერე ანდრეი შევჩენკოს პენალტით დაიწყო და კაკას ორი გოლით დასრულდა.

მაგრამ „ინტერი"... გავიხსენოთ, მილანელთა ბოლო კერა? კი ბატონო, ყველაფერი ხომ „ინტერისტებისთან" 0:1-ით დაიწყო. შემდეგ პრეზიდენტმა, შიდიანურმა ძალამ მორატის გადადგომით გავრძელდა, რასაც გადამდგარი მენავთოის ფულით „პარმასგან" ბრაზილიელი ადრიანოს ყიდვა მოჰყვა და აგერ, მოდენაში ფრით დასრულდა. ცნობისთვის: ადრიანომ მატჩის პირველ ტაიმს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

„ინტერის" შემადგენლობაში არ იყო კრისტიან ვიერი, რომელსაც ოფიციალური ვერსიით (თუ ეს ვერსია ტყუილი არ არის) ორი კვირით ბარძაყის გაჭიმული კუნთის მკურნალობა დასჭირდება. „მოდენას" 9 ნოემბრის შემდეგ თამაში არ მოუგია, მაგრამ წინა ტურში „ლაციოს" 1:1 ეთამაშა და ახლა „ინტერთან" შეძლო იგივეს გამეორება. საინტერესოა, რომ მატჩში, რომელსაც ლეგენდარული პიერლუიჯი კოლინა სჯიდა, მოდენელმა ომარ მილანეტომ პენალტი ვერ გაიტანა, ფრანჩესკო ტოლდომ აუღო. ორივე გოლი და პენალტის ვერ გატანა პირველ ტაიმში ჩაეტია.

შესვენების შემდეგ „ინტერის" შემადგენლობაში ობაფემი მარტინის ნაცვლად შევიდა ადრიანო, რომელმაც ძალიან მოინდომა, მაგრამ ანგარიში ვეღარ შეცვალა.

პაპუნა კედია

სერია B

XXIV ტური

ასკოლი 1:1 კალიარი

1:0 კოლაჩონე (2), 1:1 დე მარტისი (44ს.ჯ.)

ატალანტა 1:1 ფიორენტინა

0:1 სანტოსი (24ს.ჯ.), 1:1 გაუტიერი (82)

კატანია 3:0 ვენეცია

1:0 მასკარა (53), 2:0 ოლივეირა ბაროსო (63), 3:0 ტალდო (87)

ლივორნო 3:0 ალბინოლეფე

1:0, 2:0 პროტი (16, 82), 3:0 რაბიტო (90)

ნაპოლი 2:2 ვერონა

0:1 სალვეტი (6), 1:1, 2:1 პეროვიჩი (26, 37), 2:2 ადაილტონი (66)

პალერმო 0:2 სალერნიტანა

0:1, 0:2 ბოგდანი (58, 83)

პესკარა 1:1 კომო

1:0 დიჩარა (38), 1:1 კარპარელი (58)

ტორინო 2:2 აველინო

0:1 კაპარელა (44), 1:1, 2:1 ტირიბოკი (45, 62), 2:2 კაპარელა (73)

ტრევიზო 1:0 ჯენოა

1:0 ჩენტურიონი (80)

ტრიესტინა 1:1 მესინა

1:0 მანტოვანი (46), 1:1 ძანიოლო (85)

ვიჩენცა 0:1 პიაჩენცა

0:1 კოლომბო (44)

ტერნანა — ბარი

დღეს გაიმართება

ატალანტა	24	11	13	0	33:16	46
ტერნანა	23	13	5	5	36:22	44
პალერმო	24	11	9	4	32:18	42
პიაჩენცა	24	11	7	6	24:19	40
მესინა	24	9	11	4	32:24	38
ლივორნო	24	9	11	4	30:22	38
კალიარი	24	9	8	7	40:28	35
ტორინო	24	8	10	6	33:25	34
კატანია	24	9	7	8	32:26	34
ტრევიზო	24	8	10	6	28:25	34
ტრიესტინა	24	8	9	7	32:32	33
სალერნიტანა	24	9	6	9	22:24	33
ასკოლი	24	8	8	8	30:30	32
ფიორენტინა	24	7	11	6	27:30	32
პესკარა	24	7	9	8	20:27	30
ნაპოლი	24	4	16	4	19:20	28
ალბინოლეფე	24	7	7	10	22:31	28
ვიჩენცა	24	5	11	8	20:23	26
ვერონა	24	5	10	9	28:33	25
ვენეცია	24	4	11	9	19:27	23
ბარი	23	5	7	11	24:32	22
ჯენოა	24	4	10	10	19:32	22
კომო	24	4	8	12	17:31	20
აველინო	24	0	10	14	18:40	10

ბომბარდირები

შევჩენკო (მილანი)	15
ტოტი (რომა)	11
ბაცანი (სამპდორია)	10
ვიერი (ინტერი)	9
ტრეზეგე (იუვენტუსი)	9

გადადებული მატჩი

28 იანვარი

მილანი — სიენა

XIX ტური

1 თებერვალი

იუვენტუსი — კიევო
რეჯინა — ემპოლი
ანკონა — ლეჩე
ბოლონია — მილანი
უდინეზე — მოდენა
პერუჯა — პარმა
ბრეშა — რომა
ლაციო — სამპდორია
ინტერი — სიენა

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 რომა	18	13	4	1	37:8	29	43	10	8	1	1	23:5	18	25	8	5	3	0	14:3	11	18
2 მილანი	17	13	3	1	33:8	25	42	8	6	1	1	18:5	13	19	9	7	2	0	15:3	12	23
3 იუვენტუსი	17	12	3	2	38:18	20	39	9	7	1	1	25:10	15	22	8	5	2	1	13:8	5	17
4 ინტერი	18	9	5	4	29:13	16	32	9	5	2	2	17:6	11	17	9	4	3	2	12:7	5	15
5 პარმა	18	9	5	4	26:19	7	32	9	5	3	1	13:4	9	18	9	4	2	3	13:15	-2	14
6 ლაციო	18	10	2	6	26:21	5	32	8	6	0	2	16:8	8	18	10	4	2	4	10:13	-3	14
7 სამპდორია	18	7	6	5	22:20	2	27	9	5	1	3	13:10	3	16	9	2	5	2	9:10	-1	11
8 უდინეზე	18	7	6	5	21:19	2	27	9	3	3	3	8:7	1	12	9	4	3	2	13:12	1	15
9 კიევო	18	7	4	7	21:22	-1	25	9	3	2	4	10:12	-2	11	9	4	2	3	11:10	1	14
10 სიენა	17	5	6	6	26:21	5	21	9	5	2	2	16:5	11	17	8	0	4	4	10:16	-6	4
11 ბოლონია	18	5	6	7	19:24	-5	21	9	4	2	3	14:15	-1	14	9	1	4	4	5:9	-4	7
12 ბრეშა	18	4	7	7	27:32	-5	19	9	2	4	3	16:15	1	10	9	2	3	4	11:17	-6	9
13 მოდენა	18	4	6	8	14:24	-10	18	9	3	3	3	8:9	-1	12	9	1	3	5	6:15	-9	6
14 რეჯინა	18	3	8	7	16:30	-14	17	9	2	5	2	8:10	-2	11	9	1	3	5	8:20	-12	6
15 ლეჩე	18	3	3	12	19:35	-16	12	9	2	2	5	10:14	-4	8	9	1	1	7	9:21	-12	4
16 ემპოლი	17	3	3	11	11:30	-19	12	8	2	2	4	6:10	-4	8	9	1	1	7	5:20	-15	4
17 პერუჯა	18	0	10	8	20:33	-13	10	9	0	8	1	14:15	-1	8	9	0	2	7	6:18	-12	2
18 ანკონა	18	0	5	13	7:35	-28	5	9	0	4	5	4:13	-9	4	9	0	1	8	3:22	-19	1

ესპანეთი
პრიმერადივიზიონი. XXI ტური

რეალი 2:1 ვილიარეალი

1:0 სოლარი (14), 2:0 რონალდო (53), 2:1 ბალესტეროსი (87)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, მეხია, რობერტო კარლოსი (ხუანფრანი 76), ფიგუ (კამბიასო 85), ბექემი, გუტი, სოლარი, რაული (პორტილიო 78), ლ. რონალდო

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, ბელეტი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, რიკელმე (ხოსიკო 58), ბატალია (ხავი ვენტა 58), ს. ანდერსონი, გიარე (ვიქტორი 58), ხოსე მარი

მწვრთნელი: ბენიტო ფლორო

გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, ბატალია, მარტი, არუაბარენა, რაულ ბრავო, ვიქტორი, ხოსე მარი, კასილიასი, ბალესტეროსი

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

72 485 მაყურებელი

ვალენსია 0:1 ოსასუნა

0:1 პელეგრინო (45ს.კ.)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი (რუფეტე 67), რ. აიალა, პელეგრინო, კარბონი, ხორხე ლოპესი (ხისკო 55), ალბელდა, აიმარი (ოლივეირა 77), ვისენტე, ანგულო, მისტა

მწვრთნელი: რაფაელ बेनიტესი

ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, კრუზაგა, ხოსეჩო, ანტონინო ლოპესი, პაბლო გარსია, პუნიალი, მუნიოსი, ალოიზი (პალასიოსი 90), ვალდო (გორკა გარსია 68), ვებო (ივან როსადო 84)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: აიალა, ანგულო, ალბელდა, ხორხე ლოპესი, ისკიერდო, ვალდო, პაბლო გარსია

გაძევება: კარბონი (86)

მსაჯი: მეია დავილა

45 000 მაყურებელი

ალბასეტე 1:1 ატლეტიკო

0:1 ნანო (31), 1:1 ლეკი (59ს.კ.)

ალბასეტე: ალმუნია, ბუადესი, პედრო, პენია, პაბლო, ვიაუდი, პარი (პაბლო გარსია 78), ივან დიასი (დავიდ სანჩესი 51), დელპორტი, არანდა, პაჩეკო (ფაბიანო კოშტა 74)

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

ატლეტიკო: ხუანმა, გარსია კალვო, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, აგილერა (ნოვო 76), ნანო (მუსამპა 82), იბაგასა (ხორხე 87), ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ალმუნია, სერხი, ტორესი

მსაჯი: მედინა კანტალეხო

14 025 მაყურებელი

სელტა 2:5 სოსიედადი

1:0 გუსტავო ლოპესი (1), 1:1 კოვაჩევიჩი (24), 1:2 მილოშევიჩი (44ს.კ.), 2:2 ლუქსენი (51პ), 2:3 ხაბი ალონსო (60), 2:4, 2:5 ნიპათი (70, 72)

სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, ბერიზო, სერხიო, ვაგნერი, გუსტავო ლოპესი (მოსტოვოი 77), ხოსე იგნასიო (ედუ 62), ლუქსენი, მილოშევიჩი (პინელია 77), ხესული

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, ლოპეს რეკარტე, შურერი, პოტილიონი, ხაბი ალონსო (არანბურუ 77), კარპინი, გაბილონდო, ალკისა, კოვაჩევიჩი (ხაურეგი 89), ნიპათი

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: ლოპეს რეკარტე, ხესული, ლუქსენი, კვარმე, ხაბი ალონსო, გუსტავო ლოპესი, ბერიზო, კარპინი, ბერიზო

ჰელეგრინოს საჩუქარი
არ შეხედო მსაჯს, ცუდად შემოგხედავს

REUTERS ჯეგოდან

სელტა — სოსიედადი. სტუმართა ხუთ გოლში ერთი დარკო კოვაჩევიჩისაც (მარჯვნივ) იყო

გაძევება: ბერიზო (76)

მსაჯი: ტრისტანტე ოლივა

23 850 მაყურებელი

ესპანიოლი 1:2 ბეტისი

0:1 მინგო (9), 0:2 ფერნანდო (29პ), 1:2 ტამუდო (63პ)

ესპანიოლი: ლემენსი, დავიდ გარსია (ტაიფუნი 45), ლოპო, დომორო, ვინიალი, პოჩეტინინო, დე ლა პენია, მაქსი (ოსკარი 81), ალექს ფერნანდესი (მორალესი 59), კრუიფი, ტამუდო

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

ბეტისი: პრატსი, მინგო, ხუანტო, ვარელა, ლემბო, არზუ, ფერნანდო (რივასი 89), დენილსონი (ისმაელი 75), იტო, ხოაკინი, ალფონსო (კანასი 76)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ვარელა, მაქსი, მინგო, ალექს ფერნანდესი, ლოპო, ტამუდო, ლემბო

მსაჯი: პერეს ბურული

38 500 მაყურებელი

მალაგა 2:3 ვალიადოლიდი

1:0 სალვა (24), 1:1, 1:2 ოსკარი (41, 68), 1:3 ჟულიო სეზარი (78), 2:3 სალვა (80)

მალაგა: არნაუ, როხასი, ხოსემი, ლიტოსი, სანსი, ხერარდო (მანუ 56), რომერო (ინსუა 72), დუდა, მიგელ ანხელი, სალვა, კანაბალი (დიეგო ალონსო 56)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ოსკარი (კარდეტი 89), ფ. სალესი, მაკუკულა (რიკეტი 7), სოუზა, ლოსადა (პაბლო პასი 81)

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გაფრთხილება: როხასი, ტორეს გომესი, მანუ

მსაჯი: კარმონა მენდესი

22 260 მაყურებელი

რასინგი 3:2 მურსია

1:0 ხავი გერერო (33), 1:1 ესნაიდერი (43), 2:1 ხავი გერერო (73), 2:2 კარანკა (89), 3:2 ხავი გერერო (90)

რასინგი: რიკარდო, პაბლო კასარი, აიოზი, მორა, ხუანმა, მორანი, რეგუერო (პაბლო ლაგო 84), მატეო (აფეკი 63), მატაბუენა, ხავი გერერო, ბენაიუნი (ხონათანი 46)

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

მურსია: ბონანო, ლოეშბორი, ურტადო, კლავერო, ხუანმა (ხულიო ალვარესი 76), კუადრადო, ფრედი (რიჩი 59), აკიარი, მიჩელი, ესნაიდერი (დ. კარანკა 64), ლუის გარსია

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

გაფრთხილება: ხუანმა („მურსია"), ხუანმა („რასინგი"), კლავერო, ხავი გერერო, ლოეშბორი, ხონათანი, მიჩელი, მორანი

მსაჯი: ტელიეს სანჩესი

16 200 მაყურებელი

სარაგოსა 1:3 მალიორკა

0:1 დელიბაშიჩი (41), 0:2 ბრუგინკი (44), 1:2 პონციო (66), 1:3 ნენე (89)

სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო (ფერონი 58), კუარტერო (კორონა 65), ალვარო, მილიტო, ჩანი, ველისკა (ინიაკი 58), პონციო, დავიდ პირი, იორდი, ვილია

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნუნიო, ლუსენპოფი, კორტესი, პოლი (ედუ მოია 54), ნადალი, კოლსა (მარკოსი 63), ნენე, ფინიდი, დელიბაშიჩი, კორეა (ბრუგინკი 38)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: ედუ მოია

მსაჯი: პერეს ლასა

28 000 მაყურებელი

სევილია 0:1 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (31)

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო (გალიარდო 72), პაბლო ალფარო (ორნოსი 80), ტორადო (ანტონიტო 45), მარტი, ბაპტისტა, დარიო სილვა, რეიესი

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ოლეგერი, ხავი, კოკუ, დავიდსი, ლუის გარსია (კვარესმა 87), რონალდინიო (ოვერმარსი 63), კლუივერტი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: რაიციგერი, რონალდინიო, რეიესი, ხავი, მარტი, მარტი, ლუის გარსია

გაძევება: მარტი (83)

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

42 750 მაყურებელი

ბილბაო — დეპორტივო

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

წინა კვირაში, როცა საამსეზონო მეოცე გოლი გაიტანა, რონალდომ ძველი პირობა გაიხენა და ერთხელაც დაადასტურა, 35 გოლამდე უეჭველად ავალო. დღეის იქით რონალდოს სიტყვის შესრულებამდე უკვე 14 გოლი უკლია. მისმა გოლმა „რეალს" „ვილიარელი" დააჯანინა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ლიდერობა დაუბრუნა.

ანგარიში კი არგენტინელმა სანტიაგო სოლარიმ გახსნა, ვინაც ამ მატჩში ფეხმტკივან ზინედინ ზიდანს ცვლიდა. მისი ვერაგული დარტყმული სტუმართა მეკარე პეპე რეინას ქვევიდან გაუძვრა.

მადრიდელები ერთ გოლს არ დაყაბულდნენ და მეორესთვის დაიწყეს ბრძოლა. შედეგი შესვენების მერე ცხრა წუთში მოიმკეს, როცა გუტიმ დაკარგული ბურთი მოიხელთა და საჯარიმოს მისადგომიდან რონალდოს საგოლე პასი გაუჭრა.

დედაქალაქელები მხოლოდ ამის მერე დამშვიდნენ და თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ერთი გოლიც გაუშვეს — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სერხიო ბალესტეროსმა თავი შეაგება. მეორე წამატებულ წუთზე კი კინაღამ სენსაცია გამოცხვა. „რეალის" საჯარიმოში იმავ ბალესტეროსის და დევიდ ბექემის ჭიდილისას ვილიარეალელი წაიქცა და პენალტის მოლოდინში არბიტრს მუდარის მზერა მიაპყრო. არბიტრმა ბალესტეროსის მუდარა სხვანაირად გაიგო და სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დააჯილდოვა.

„რეალი" ამ გამარჯვებით ერთიორად კმაყოფილი დარჩა, რადგან „ვალენსიამ" შინ „ოსასუნასთან" წაგო და ლიდერობა „სამეფო კლუბს" გადააბარა.

REUTERS მადრიდიდან

რონალდოს სიტყვა და გოლი ერთია

„მესტალიაზე" ერთიდერთი გოლი გავიდა და ისიც საკუთარ კარში — პირველი წაიბს მარცხენა მასპინძელთა ცენტრალურ მცველმა ანტონიო ლოპეზ-ინომ ბურთს უხეირულად დაუხვედრა ფეხი.

შესვენების მერე „ვალენსიას" რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა. მისტას და ხისკოს თუნდაც ერთი ქულის გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოსკენ ანერვიულებულმა ვალენსიელებმა უხეშობასაც უმატეს და ამადეო კარბონიმ მსაჯს წითელი ბარათიც გამოსტყუა.

„ოსასუნამ" ამ გამარჯვებით „ვილიარეალს" კი გადაუსწრო, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკოს" პოზიცია ვერ შეარყია. დედაქალაქელები ალბასეტეში ვერმოგების მიუხედავად, მეოთხე ადგილზე დარჩნენ.

„ვალენსიას" მსგავსად „ატლეტიკომ" მოგება ავტოგოლის გამოისობით დაკარგა. მასპინძელთა ისე რა დარტყმულს უშნოდ მატიას ლეკი შეეგება. მაგრამ რაკი ათლეტნანოს იქამდე გატანილი ჰქონდა, დედაქალაქელები სულ უქულოდ არ დარჩნენ.

სხვა მატჩებიდან კი აღსანიშნავია „ბარსელონას" გამარჯვება სევილიაში, რაც პატრიკ კლუივერტის ერთადერთ გოლს მოჰყვა. თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ „ბარსა" აწი, სტაბილურად ათამაშდება. სამაგიეროდ სტაბილურად მოგებას დაეჩვია შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „სოსიედადი", რომლისთვისაც ვიგოში გამარჯვება მიჯრით მეოთხე იყო.

კოტე კეკელია

სეგუნდადივიზიონი. XXI ტური

ლას პალმასი 1:0 რაიო ვალეკანო

1:0 რუბენი (87პ)

ლევანტე 2:1 ტერასა

1:0 კუელიარი (28), 1:1 მონტი (30), 2:1 ჟოფრე (40)

ხეტაფე 1:0 ტენერიფე

1:0 მიჩელი (70პ)

ალმერია 1:2 კადისი

1:0 ბენიტესი (42), 1:1 სუარესი (47), 1:2 მანოლო პერესი (52)

ალავესი 0:2 ეიბარი

0:1 ლორენტე (49), 0:2 კორედოირა (89)

უელვა 2:0 ნუმანსია

1:0 იკერ ბეგონია (61), 2:0 უჩე (65)

ხერესი 1:0 პოლი ეხიდო

1:0 კალე (84)

კორდობა 1:3 ლეგანესი

0:1, 0:2 ენრია (7, 46), 1:2 სილვიო გონსალესი (64), 1:3 კალანდრია (89)

სალამანკა 3:0 ელჩე

1:0 კანიასი (27), 2:0 ხოსე (67), 3:0 რაულ სანჩესი (71)

ალხესირასი 2:0 სიუდად მურსია

1:0 აიტორ სანტოსი (1), 2:0 ბაიარი (37)

მალაგა B — სპორტინგი

დღეს გაიმართება

ლევანტე	21	10	8	3	22:11	38
სპორტინგი	20	11	4	5	28:17	37
ნუმანსია	21	10	5	6	30:17	35
კადისი	21	10	4	7	28:20	34
ეიბარი	21	9	7	5	20:12	34
ალავესი	21	9	7	5	20:16	34
ხეტაფე	21	7	12	2	24:19	33
უელვა	21	6	11	4	22:18	29
სალამანკა	21	6	10	5	25:20	28
ალმერია	21	6	9	6	23:24	27
ლეგანესი	21	6	9	6	21:23	27
ელჩე	21	6	8	7	26:32	26
ხერესი	21	4	13	4	21:25	25
სიუდად მურსია	21	5	10	6	28:36	25
კორდობა	21	5	9	7	18:20	24
ტერასა	21	6	6	9	22:27	24
ლას პალმასი	21	4	11	6	27:31	23
რაიო	21	6	4	11	25:33	22
პოლი ეხიდო	21	5	6	10	18:27	21
ტენერიფე	21	3	11	7	14:21	20
მალაგა B	20	4	6	10	21:29	18
ალხესირასი	21	3	8	10	20:25	17

ბომბარდირები

რონალდო (რეალი)	16
ტორესი (ატლეტიკო)	12
მისტა (ვალენსია)	10
რაული (რეალი)	9
სალვა (მალაგა)	9

XXII ტური

1 თებერვალი

ატლეტიკო	—	ოსასუნა
ბარსელონა	—	ალბასეტე
ბეტისი	—	სელტა
დეპორტივო	—	სევილია
სოსიედადი	—	რასინგი
ვალიადოლიდი	—	რეალი
მალიორკა	—	ბილბაო
ვილიარეალი	—	ესპანიოლი
მურსია	—	სარაგოსა
მალაგა	—	ვალენსია

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ხ	ქ
1 რეალი	21	14	4	3	40:21	19	46	10	10	0	0	26:8	18	30	11	4	4	3	14:13	1	16
2 ვალენსია	21	13	5	3	36:15	21	44	11	7	2	2	21:11	10	23	10	6	3	1	15:4	11	21
3 დეპორტივო	20	12	4	4	36:16	20	40	11	8	1	2	22:9	13	25	9	4	3	2	14:7	7	15
4 ატლეტიკო	21	10	5	6	29:24	5	35	11	8	2	1	19:7	12	26	10	2	3	5	10:17	-7	9
5 ოსასუნა	21	8	9	4	22:16	6	33	11	5	4	2	15:11	4	19	10	3	5	2	7:5	2	14
6 ვილიარეალი	21	9	6	6	28:24	4	33	10	5	4	1	16:10	6	19	11	4	2	5	12:14	-2	14
7 ბარსელონა	21	8	7	6	28:26	2	31	11	3	5	3	13:10	3	14	10	5	2	3	15:16	-1	17
8 რასინგი	21	8	6	7	28:29	-1	30	10	4	1	5	13:15	-2	13	11	4	5	2	15:14	1	17
9 ვალიადოლიდი	21	7	8	6	26:28	-2	29	10	5	4	1	12:7	5	19	11	2	4	5	14:21	-7	10
10 ბილბაო	20	7	6	7	24:25	-1	27	9	6	1	2	14:6	8	19	11	1	5	5	10:19	-9	8
11 სოსიედადი	21	7	6	8	27:32	-5	27	11	4	4	3	14:14	0	16	10	3	2	5	13:18	-5	11
12 ვალიორკა	21	8	3	10	27:36	-9	27	11	4	3	4	16:20	-4	15	10	4	0	6	11:16	-5	12
13 ბეტისი	21	6	8	7	27:24	3	26	11	2	6	3	13:13	0	12	10	4	2	4	14:11	3	14
14 მალაგა	21	8	2	11	26:30	-4	26	10	5	2	3	18:12	6	17	11	3	0	8	8:18	-10	9
15 სევილია	21	6	7	8	28:25	3	25	10	5	2	3	15:10	5	17	11	1	5	5	13:15	-2	8
16 ალბასეტე	21	6	4	11	23:27	-4	22	11	5	2	4	16:10	6	17	10	1	2	7	7:17	-10	5
17 სელტა	21	4	9	8	30:39	-9	21	10	1	3	6	10:24	-14	6	11	3	6	2	20:15	5	15
18 სარაგოსა	21	5	5	11	20:31	-11	20	10	2	4	4	8:9	-1	10	11	3	1	7	12:22	-10	10
19 ესპანიოლი	21	4	2	15	17:38	-21	14	10	2	1	7	8:17	-9	7	11	2	1	8	9:21	-12	7
20 მურსია	21	1	10	10	19:35	-16	13	11	1	7	3	13:16	-3	10	10	0	3	7	6:19	-13	3

ᲥᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲚᲣᲮᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ 1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ 4:1 ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝ
1:0 ᲑᲔᲠᲮᲙᲐᲛ�პᲘ (19), 1:1 ᲯᲝᲑᲘ (22), 2:1, 3:1 ᲚᲘᲣᲜᲒᲑᲔᲠᲒᲘ (28, 68), 4:1 ᲑᲔᲜᲢᲚᲘ (90)

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ 1:0 ᲣᲘᲛᲒᲚᲓᲝᲜᲘ
1:0 Ბ. ᲰᲘᲣᲖᲘ (4)

ᲑᲐᲠᲜᲚᲘ 3:1 ᲯᲘᲚᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ
1:0 Ი. ᲛᲣᲠᲘ (30), 2:0, 3:0 Რ. ᲑᲚᲔᲘᲥᲘ (33, 64), 3:1 ᲰᲔᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘ (71)

ᲫᲝᲕᲔᲜᲘᲗᲠᲘ 1:1 ᲙᲝᲚᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ
0:1 ᲐᲓᲔᲑᲝᲚᲐ (30ს.კ.), 1:1 ᲯᲝᲣᲩᲘᲛᲘ (33)

ᲘᲠᲗᲡᲕᲘᲩᲘ 1:2 ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲜᲓᲘ
0:1 Თ. ᲡᲛᲘᲗᲘ (45), 0:2 ᲐᲠᲙᲐ (68), 1:2 ᲠᲝᲘᲖᲔᲠᲘ (89)

ᲚᲣᲢᲝᲜᲘ 0:1 ᲢᲠᲐᲜᲛᲔᲠᲘ
0:1 ᲛᲔᲚᲝᲜᲘ (81)

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ 2:1 ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ
1:0 ᲨᲔᲘᲠᲣ (2), 1:1 ᲠᲝᲑᲔᲠᲘ (4), 2:1 ᲨᲔᲘᲠᲣ (61)

ᲞᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲘ 2:1 ᲡᲙᲐᲜᲗᲝᲠᲞᲘ
1:0, 2:0 ᲛᲔᲗᲘᲣ ᲢᲔᲘᲚᲝᲠᲘ (35, 66), 2:1 ᲞᲐᲠᲢᲝᲜᲘ (89)

ᲡᲙᲐᲠᲑᲝᲠᲝ 0:1 ᲩᲔᲚᲡᲘ
0:1 ᲢᲔᲠᲘ (10)

ᲡᲣᲝᲜᲡᲘ 2:1 ᲞᲠᲔᲡᲢᲝᲜᲘ
0:1 ᲔᲢᲣᲞᲣ (58), 1:1 Ე. ᲠᲝᲑᲘᲜᲡᲝᲜᲘ (80), 2:1 ᲢᲠᲐᲜᲓᲚᲘ (82)

ᲔᲕᲔᲠᲢᲝᲜᲘ 1:1 ᲤᲣᲚᲔᲛᲘ
0:1 Ш. ᲓᲔᲕᲘᲡᲘ (49), 1:1 ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲘ (90)

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲡᲘᲢᲘ 1:1 ᲢᲝᲢᲔᲜᲰᲔᲛᲘ
1:0 ᲐᲜᲔᲚᲙᲐ (10), 1:1 ᲓᲝᲰᲔᲠᲢᲘ (57)

ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘ 0:3 ᲨᲔᲤᲘᲚᲓ ᲘᲣᲜ.
0:1 ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ (33ჯ), 0:2 ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘ (79), 0:3 ᲔᲚᲘᲡᲝᲜᲘ (90)

ᲜᲝᲠᲗᲰᲔᲛᲞᲢᲝᲜᲘ 0:3 ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜ.
0:1 Ш. ᲡᲘᲚᲕᲔᲡᲢᲠᲘ (33), 0:2 Ჯ. ᲰᲐᲠᲒᲠᲘᲕᲡᲘ (47ს.კ.), 0:3 ᲤᲝᲠᲚᲐᲜᲘ (68)

ᲕᲣᲚᲕᲔᲠᲰᲔᲛᲞᲢᲝᲜᲘ 1:3 ᲕᲔᲡᲢ ᲰᲔᲛᲘ
0:1 ᲓᲘᲜᲘ (4), 0:2 ᲰᲔᲠᲕᲣᲓᲘ (21), 1:2 ᲒᲐᲜᲘᲐ (23), 1:3 ᲙᲝᲜᲝᲚᲘ (32)

ᲢᲔᲚᲤᲝᲠᲓᲘ — ᲛᲘᲚᲣᲝᲚᲘ
გადაიდო

ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდი სულ იოლად გაიარა „არსენალმა“, რომელიც თითქოსდა უახლოვდება მსოფლიოს ამ უძველესი საფეხბურთო შეჯიბრისთვის გაუგონარ ამბავს — თასის ზედიზედ მეოთხედ დაუფლებას.

„მეთოფეებმა“ 4:1 მოუგეს „მიდლსბროს“. საკვირველი ამაში არაფერია, „არსენალი“ შემადგენლობით იყო და წლეულს უკვე მესამედ გაუტანა „ბოროს“ 4 გოლი ერთ თამაშში. საინტერესო ის არის, რომ ეს ორი გუნდი ბოლო 15 დღეში სამჯერ შეხვდა ერთმანეთს: ლიგაში, ქარლინგის თასზე და ახლა ძველ თასზე. შუა კვირაში „ბორომ“ 1:0 მოუგო „ჰაიბერიზე“ „მეთოფეთა“ დუბლებს, უქმეებზე კი ველარ გასწვდა. თანაც, ქარლინგის თასის ნახევარფინალის საპასუხო თამაში კვლავაც წინ არის.

„არსენალში“ ვარსკვლავთა შორის კვლავაც თავისებურად გაიბრწყინა ყრმა დევიდ ბენტლიმ, რომელმაც თამაშის ბოლო გოლი შეაგდო.

პაწაწინა, მცირე ლიგის „სკარბოროს“ სტუმრობდა „ჩელსი“, რომელმაც ჯონ ტერის ადრიანი თავურით მოიგო. „სკარბორო“ ინგლისის ყველა გუნდის ამჟამინდელ ცხრილში „ჩელსიზე“ 104 საფეხურით დაბლაა, თუმც, თავისი ჰალალი თამაში მაინც გასწია და შეხვედრის ბოლო ათ წუთში გათანაბრების შანსიც გაუჩნდა: ჯერ იყო და კოლინ კრაიანმა კარისწინა თავურით პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი კარლო კუდიჩინის, 83-ე წუთზე კი უილიამ გალასმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმოში, მაგრამ მსაჯს პენალტი არ დაუნიშნავს.

ამ რაუნდის ყველაზე დიდი წყვილი კი „ლივერპული“ — „ნიუკასლი“ იყო. თამაში „ენფილდზე“ მასპინძლებმა მოიგეს ჩვეულად მძიმე ბრძოლაში. ფრანგმა ბრუნო შეირუმ კვლავაც გამოიჩინა თავი. ბოლო ორ სალიგო თამაშში შეირუმ თითო გოლი შეაგდო, ახლა კი ერთბაშად ორი. შეირუს ორ გოლს შორის იყო ჯორდების ასევე ფრანგის, ლორან რობერის 30 მეტრიდან გატანილი ზღაპრული საჯარიმო დარტყმა. სეზონგაწვალებული „ლივერპული“ კი ალბათ ნამდვილად უმიზნებს თასს.

სკარბორო — ჩელსი. ჯონ ტერის ამ თავურმა პატარა „სკარბორო“ თასისკენ არ გაუშვა

იმ თხუთმეტ თამაშს შორის, უქმეებზე რომ გაიმართა, ერთი დაბალი სალიგო წყვილის ჯახიც გამორჩეული გამოვიდა. მესამე დივიზიონის უელსურმა „სუონსიმ“ 2:1 მოუგო პირველი დივიზიონის „პრესტონს“, ინგლისის პირველ ჩემპიონს. „სუონსი“ აგებდა და თამაშის მე-80 და 82-ე წუთებზე შესძლო თითო გოლის გატანა. ამათგან მეორე შეაგდო კლუბის მთავარმეგოლემ (20 ბურთი ამ სეზონში) ლი ტრანდლმა, რომელმაც წლევანდელი სათასო რაუნდები სულ გოლებით გაიარა. ტრანდლი იმანაც გაახარა, რომ სწორედ ის გუნდი დააშამათა, რომელმაც მისი ყიდვა იუარა თავის დროზე.

კვირა დღის ყველაზე ადრიან სათასო თამაშში „მანჩესტერ სიტის“ ნიკოლა ანელკამ ადრევე გაუტანა „ტოტენჰემს“, ოღონდაც ასე მოხდა, რომ მეორე ტაიმში ლონდონელთა რიგებში სტეფან დალმა გამოჩნდა, რომელმაც ძირეულად შეცვალა თამაშის იერი. ელდერ პოსტიგასა კუთხურს გარე ლინერტის ბუსტა თავური მოაგო და საერთოდაც „ტოტენჰემს“ შეეძლო თამაშის მოგება, თუმცაღა მაინც ფრე გამოვიდა და გადათამაშების მასპინძელი უკვე „ტოტენჰემი“ იქნება, რაც მას უპირატესობას აძლევს.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ კი, საეჭვო იყო, გადათამაშება და საკუთარი მოედნის უპირატესობა დასჭირვებოდა. ასეც მოხდა და იუნაიტედელებმა იოლად სძლიეს „ნორთჰემპტონს“. სამი გოლი და ერთიც გაფუჭებული პენალტი — ასეთი მონანგარით გავიდა „მანჩესტერი“ თასის მომდევნო წრეში. პენალტი კი, მესამე წუთზე, დიეგო ფორლანმა ვერ გაიტანა.

ნორთჰემპტონელთაგან კი ორი ფეხბურთელი გამოირჩა. დერეკ ასამოამ ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა სტუმართა კართან, კრის ჰარგრივსი კი ავტოგოლით შეეწია სტუმრებს. ხოლო რა ნათესაური კავშირი აქვთ ამ ფეხბურთელებს თავის უფრო ცნობილ მოგვარეებთან, ვერ მოგახსენებთ.

„ევერტონისა“ და „ფულემის“ შეხვედრა იმთავითვე ნათელი იყო, რომ უფრო დაძაბული გამოდგებოდა. ამ მატჩის საკვანძო მომენტები ორი ჩათვლილი და ერთიც გაუქმებული გოლი იყო. გოლი ლივერპულელ კლბერნს გაუუქმეს, რაკი იქამდე ხელით გაისწორა ბურთი. ჩათვლილები კი ერთმანეთის მსგავსი გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ მეკარეებმა დარტყმები მოიგერიეს და დამატებაზე გაუშვეს.

ანგარიში ლონდონელმა შონ დევისმა გახსნა, ვინაც ადრე სწორედ „ევერტონში“ თამაშობდა და მატჩის გმირიც უნდა გამხდარიყო, ფრენსის ჯეფერსის ბოლო წუთზე გატანილი რომ არა. ედვინ ვან დერ სარმა დანკან ფერგიუსონის დარტყმული მოიგერია, ჯეფერსისას კი ვერაფერი მოუხერხა. ამგვარად, ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს, ოღონდ მასპინძელი „ფულემი“ იქნება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲣᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ 1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ოსერი — მონპელიე 2:0; ბორდოპერონი — ლიონი 0:5; მარსელი — პსჟ 1:2დ.დ.(1:1); დიჟონი — ლანსი 2:1; ვალანსი — შატორუ 2:2დ.დ.(პენ.4:5, 1:1); ბეზანსონი — კრეტეი 1:3; გენიონი — რეიმსი 1:3; კაენი — კანი 1:0; ბრივი — ნანსი 3:2დ.დ.(2:2); ამიენი — პლაბენეკი 3:0; აიაჩო პასწ — ბრესტი 1:3; ბაიონი — ბორდო 1:0; ტულუზი — ნიცა 0:0(პენ.5:4); კრუა სავუა — რენი 0:2; ვალანსიენი — მონაკო 0:0(პენ.1:4); ფონტენეი — ნანტი 0:3

თასის გათამაშებამ უცნობი გუნდების ხელით ორი უმაღლესდივიზიონელი იმსხვერპლა. მსგავსი მოულოდნელობებით სათასო მატჩები ყოველთვის განებივრებულია, განსაკუთრებით საფრანგეთში.

სხვებზე მეტად თავი „ბორდომ“ შეირცხვინა. მეოთხე დივიზიონის, მოყვარულთა გუნდმა „ბაიონმა“, რომლის სახელიც შესაძლოა, თავად ბორდოელებსაც არასოდეს სმენიათ, ძლიერ მეტოქესთან უგოლო ფრე გაახერხა. ეს უკვე თავისთავად სენსაცია იყო, დამატებით დროში კი მასპინძლებმა გოლის გატანაც შეძლეს. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ჰყავდათ ის შემადგენლობა, რომლითაც ჩემპიონატში უკვე ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა მოიგეს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲣᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲧᲐᲠᲔᲡ

მარსელი — პსჟ. პარიზელთა გამარჯვების გოლი ხუან პაბლო სორინის თავურს მოჰყვა

„ბორდოს“ გვერდით „ლანსი“ ამოუდგა. მესამედივიზიონელ „დიჟონთან“ ნაწვევ ლანსელებს ექვსი ფეხბურთელი აკლდათ. ექვსივე აფრიკელია და მშობლიური ქვეყნისთვის ტუნისში ირჯება. ამიტომ „წითელ-ყვითელთა“ მარცხი გარკვეულწილად კანონზომიერია. თან „ლანსმა“ ჩემპიონატშიც აურია და უკვე მერამდენე ტურია, მოგება არ უგემია.

მთავარ სათასო შეხლას მარსელმა უმასპინძლა. საპორტო ქალაქს მათთვის საძულველი პსჟ ეწვია. ბოლო ორი წლის განმავლობაში პარიზელებმა „მარსელს“ ყველა დონეზე (თასი და ჩემპიონატი) ზედიზედ ხუთ შეხვედრაში სძლიეს.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩისეულმა პსჟ-მ ბოლო ორი ტურის მატჩში მოიკოჭლა, თუმცა „ველოდრომზე“ გამართული ფეხბურთი აჩვენა.

პედრო პაულეტამ ანგარიში მას შემდეგ გახსნა, ორ მცველს შუა ბურთი მკერდიდან რომ ჩამოხსნა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში შეაგდო.

არანაკლებ კოხტა გოლი გაიტანა დიდიე დროგბამაც, რომელმაც ტაიმის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე იხეირა.

შესვენების შემდეგ დედაქალაქელები უკეთ თამაშობდნენ, თუმც ფაბიენ ბარტეზის სადგომი ხაზი ბურთს ვერ გადააკვეთინეს. მატჩი დამატებით დროში გაიწელა, იქ კი არგენტინელმა ხუან პაბლო სორინმა უზადო თავურით „მარსელის“ მეკარე მაინც დაამწუხრა.

მწუხრმა ბარტეზის გარდა „ველოდრომზე“ მყოფი მასპინძელთა ქომაგებიც მოიცვა.

ფეხბურთელებზე არანაკლები ჯაფა მსაჯ ერიკ პოლასაც დაადგა, რომელსაც მუშტმოღერებული მეტოქეების დაშოშმინება ხშირად უწევდა.

მსაჯის გარდა ბევრი იშრომეს პოლიციელებმაც. სტადიონის გარეთ მათ პსჟ-ს ფინები ეკინკლავებოდნენ. ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი მსუბუქად მიბეგვეს, საბოლოოდ კი პარიზიდან ჩასული რვა ავტობუსი მარსელიდან მშვიდობიანად გაამგზავრეს.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

თავშეხლა
ლარსონმა 220 აპრიფა

შოტლანდია
პრემიერლიგა. XXI ტური

რეინჯერსი 1:0 ლივინგსტონი
1:0 ნერლინგერი (13)
რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი, ხიზანიშვილი, კ. მური, ვანოლი (ბოლი 80), ნუნუ კაპუშუ, რიკსენი, ნერლინგერი, ლოვენკრანდსი, **არველაძე**, მოლსი (რ. დე ბური 62)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
46 638 მაყურებელი

აბერდინი 1:3 სელტიკი
0:1 ს. პეტროვი (30), 2:0 ლარსონი (43), 0:3 პირსონი (58), 1:3 ტოში (62)

დანფერმლაინი 1:0 მოზერუელი
1:0 იანგი (73)

ჰართსი 2:0 პარტიკი
1:0, 2:0 ვინისი (42, 78)

კილმარნოკი 0:2 ჰიბერნიანი
0:1 ბრაუნი (48), 0:2 ოკონორი (50)

დანდი 2:1 დანდი იუნ.
0:1 ბ. დოდსი (44პ), 1:1 ნოვო (48), 2:1 ლოველი (70)

შოტლანდიის ორთავა ჩემპიონატის ლიდერთა შორის სხვაობა შენარჩუნდა, თუმც ამ ტურში გაცილებით მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა.

გლაზგო „რეინჯერსს“ ჰოლანდიელი ტყუპისცალი რონალდ დე ბური ხუთთვიანი უქმობა-მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა და „აიბროქსს“ ტაშიც მოსწყვიტა.

ტყუპისცალი მაკლიშმა მეორე ტაიმში, მიხაელ მოლსის ნაცვლად შეუშვა და დე ბურმა ნუნუ კაპუშუს კარგ პასზე სახიფათო თავურის მიყოლებაც მოასწრო.

შესვენების შემდეგ, ერთ ეპიდოში, მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში არველაძე და მეტოქე ენდრიუ ერთურთს თავებით შეასკდნენ. ორივეს დასტაქართა დახმარება დასჭირდა, საბოლოოდ კი თამაში გაგრძელეს.

გოლი, რომელმაც „რეინჯერსს“ სამი ქულა მიუთვალა და „სელტიკთან“ სხვაობა დაუტოვა, კრისტიან ნერლინგერის ანგარიშზეა. გერმანელს ძირითად შემადგენლობაში ნოემბრის შემდეგ არ ეთამაშა და ადგილი მიკელ არტეტას ავადობამ გაუთავისუფლა.

„აბერდინის“ კარში ჰენრიკ ლარსონის გატანილი გოლი შვედისთვის 220-ე გამოდგა. ლარსონმა 1967 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელ სტივ ჩამერს (219) გადაუსწრო და „სელტიკის“ ბომბარდირთა ნუსხაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა ჯიმი მაკგრორის (397) და ბობი ლენოქსის (273) შემდეგ.

ვაჟა ხუციშვილი

სელტიკი	21	20	1	0	66:8	61
რეინჯერსი	21	16	2	3	45:18	50
ჰართსი	21	11	3	7	30:24	36
დანფერმლაინი	21	9	7	5	27:28	34
ლივინგსტონი	21	6	8	7	22:23	26
ჰიბერნიანი	21	7	4	10	22:34	25
დანდი	21	6	6	9	25:29	24
მოზერუელი	21	6	6	9	20:24	24
დანდი იუნ.	21	6	5	10	22:36	23
კილმარნოკი	21	6	3	12	25:44	21
აბერდინი	21	5	4	12	26:40	19
პარტიკ თისლი	21	2	3	16	20:42	9

I დივიზიონი

22-ე ტური: ბრეჩინი — ინვერნესი 2:4; კლაიდი — ფოლკირკი 4:2; როსი — ეარი 1:1; სენტ ჯონსტონი — რეითი 5:2; სენტ მირენი — ქუინი 3:1

II დივიზიონი

მე-20 ტური: ერდრი — არბროთი 0:1; ისტ ფაიფი — ალოა 0:1; ფორფარი — დამბარტონი 1:0; მორტონი — ჰამილტონი 2:2; სტენჰაუზმური — ბერვიკი 3:1

III დივიზიონი

მე-20 ტური: კოუდენბითი — გრეტნა 1:2; პიტერჰედი — ისტ სტირლინგი 6:0; ქუინზ პარკი — მონტროუზი 1:1; სტირლინგი — ალბიონი 3:0; სტრანრარი — ელგინი 6:0

ჰენრიკ ლარსონი

ჰოლანდია
I დივიზიონი. XVII ტური

გრონინგენი 0:2 პსვ ეინდჰოვენი
0:1 ბუმა (35), 0:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (40)

ფეიენოორდი 3:2 უტრეხტი
0:1 ტანგე (22), 0:2 ლეიტაუ (26), 1:2 ბუფელი (28), 2:2, 3:2 ლაზოვიჩი (79, 82)

აიაქსი 1:0 ნაიმეგენი
1:0 სონკი (61)

ტილბურგი 2:3 ტვენტე
0:1 ჯონი (9), 0:2 ვიქტორია (24ს.ჯ.), 0:3 ნკუფო (76), 1:3 ჯ. ქუინი (77), 2:3 ვიქტორია (90)

ზვოლე 0:3 როზენდალი
0:1 ლამენსი (22), 0:2 დე გრააფი (70), 0:3 ლუიტენი (84)

ბრედა 3:2 ვოლენდამი
1:0 ენგელაარი (32), 2:0 პენდერსი (49), 3:0 სლოტი (51), 3:1 პუტერი (73), 3:2 უსაინი (82)

როდა 2:1 ვალვაიკი
1:0 ანასტასიუ (13), 2:0 კონე (32), 2:1 ჰუგენდორპი (85)

ვიტესი 0:1 ჰერენვენი
0:1 კნოპერი (5)

ალკმაარი 0:1 დენ ჰააგი
0:1 კრომკამპი (59ს.ჯ.)

აიაქსი	17	14	1	2	42:17	43
პსვ	17	12	4	1	46:13	40
ალკმაარი	17	10	2	5	34:18	32
ფეიენოორდი	17	9	4	4	33:23	31
ჰერენვენი	17	9	2	6	21:19	29
ტვენტე	17	9	1	7	34:30	28
ტილბურგი	17	8	3	6	28:27	27
უტრეხტი	17	7	4	6	23:21	25
როდა	17	6	6	5	29:22	24
როზენდალი	17	6	6	5	19:18	24
ბრედა	17	6	3	8	28:27	21
გრონინგენი	17	5	5	7	22:27	20
ნაიმეგენი	17	6	1	10	19:28	19
ვალვაიკი	17	4	5	8	20:24	17
ვიტესი	17	2	7	8	23:31	13
დენ ჰააგი	17	3	4	10	13:35	13
ვოლენდამი	17	3	4	10	19:47	13
ზვოლე	17	1	4	12	9:35	7

პორტუგალია
სუპერლიგა. XIX ტური

პორტუ 2:0 ამადორა
1:0, 2:0 მაკკარტი (30, 45)

ბელენენსეში 1:3 სპორტინგი
1:0 მარკუ პაულუ (30), 1:1 ზა პინტუ (33), 1:2 ჟოაუ პინტუ (67), 1:3 ლიდსონი (90)

მარიტიმუ 1:1 ალვერკა
0:1 ალექს ალფონსო (30), 1:1 ალან სილვა (83)

ჟილ ვისენტე 1:2 რიუ ავე
1:0 ჟ. ფერეირა (48), 1:1 ევანდრო (61პ), 1:2 ნასირი (78)

მორეირენსე 1:0 ფერეირა
1:0 ტ. რიბეირუ (52)

ნასიონალი 5:1 ბრაგა
1:0 როსატო (23), 2:0 ლუზადა (45), 3:0 გუვეია (50), 3:1 ვ. საიდი (66), 4:1 როსატო (72), 5:1 ლუზადა (90)

აკადემიკა 1:2 ლეირია
0:1 ატეი (34), 0:2 დუალა (40), 1:2 მარსელო (67)

გიმარაეში — ბენფიკა
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ბოავიშტა — ბეირა მარი
დღეს გაიმართება

პორტუ	19	16	3	0	44:11	51
სპორტინგი	19	15	1	3	38:18	46
ბენფიკა	18	11	4	3	37:19	37
ბრაგა	19	10	3	6	21:24	33
ბეირა მარი	18	9	4	5	28:22	31
მარიტიმუ	19	7	9	3	21:18	30
ნასიონალი	19	8	3	8	32:20	27
ბოავიშტა	18	7	6	5	17:14	27
რიუ ავე	19	6	7	6	21:17	25
მორეირენსე	19	6	5	8	16:23	23
ჟილ ვისენტე	19	5	7	7	26:23	22
ლეირია	19	6	4	9	23:31	22
ალვერკა	19	5	4	10	19:25	19
ბელენენსეში	19	4	7	8	24:34	19
გიმარაეში	18	3	6	9	18:25	15
აკადემიკა	19	4	3	12	15:25	15
ფერეირა	19	4	2	13	10:29	14
ამადორა	19	3	2	14	14:46	11

ბელგია
იუპილერლიგა. XIX ტური

ანდერლეხტი 2:0 გენტი
1:0 სეოლი (3), 2:0 მორნარი (72)

შარლერუა 4:3 გენკი
0:1 შატელი (12), 1:1 იკპება (21), 2:1 ოლუფადე (45), 3:1 სიანი (52), 4:1 ოლუფადე (49), 4:2 ვანდენბერგი (76), 4:3 რუსელი (77)

ბეერსხოტი 1:1 ლიერსი
1:0 ჰოფკენსი (45პ), 1:1 სელსი (57)

ჰეუსდენი 1:3 ლუვიე
1:0 დე კონდე (27), 1:1 ჰანდენჰოვენი (69), 1:2 ტილმანი (73), 1:3 კოორემანი (74)

ლოკერენი 1:1 სტანდარდი
1:0 კრისტინსონი (35), 1:1 ალიუ-დატი (49)

მუსკრონი 3:2 მონსი
1:0, 2:0, 3:0 პიორონი (50, 66, 74), 3:1, 3:2 ბანი (89, 90)

სენტ ტრუიდენი 1:1 ბეევერენი
0:1 კაიპერი (49), 1:1 დელორგი (88)

ვესტერლო 2:1 ანტვერპენი
0:1 გოოტსი (59), 1:1 ბრონო (77), 2:1 დოსუნმუ (88)

ბრიუგე — სერკლ ბრიუგე
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ანდერლეხტი	19	17	1	1	49:14	52
სტანდარდი	19	12	4	3	38:17	40
გენკი	19	10	4	5	39:25	34
მუსკრონი	19	9	7	3	38:24	34
ბრიუგე	18	8	4	6	32:23	28
სენტ ტრუიდენი	19	7	7	5	23:24	28
ვესტერლო	19	7	7	5	22:25	28
გენტი	19	6	8	5	21:18	26
ბევერენი	19	8	1	10	26:30	25
ლუვიე	19	5	9	5	25:24	24
ბეერსხოტი	19	6	6	7	17:22	24
ლიერსი	19	4	9	6	19:22	21
სერკლი	18	4	8	6	15:24	20
ლოკერენი	19	4	5	10	21:32	17
მონსი	19	3	7	9	19:30	16
ჰეუსდენი	19	4	4	11	18:33	16
შარლერუა	19	3	6	10	14:23	15
ანტვერპენი	19	3	3	13	13:39	12

II კლასი

21-ე ტური: პატრო — ვარეგემი 1:0; დესელი — ვიგორი 4:0; სპორტინგი — რუზელარე 1:4; ეუპენი — გეელი 2:0; დაინცე — ბრიუსელი 0:0; ვირტონი — ვიზეტი 0:2; რონსე — ტუბეკე 0:2; ტინენი — აალსტი 0:0; დენდერლეუ — ოსტენდე 1:3

თურქეთი
სუპერლიგა. XVIII ტური

დიარბაქირი — გალათასარაი 0:0; დენიზლი — სებათი 1:2; ანკარაგიუჯიუ — რიზე 4:1; ელაზიგი — გენჩლერი 1:1; გაზიანთეფი — ბურსა 3:2; მალათია — ადანა 2:0; ტრაბზონი — ქონია 0:3; ისთანბული — ფენერბაჰჩე 0:1. *ბეშიქთაში — სამსუნი 85-ე წუთზე შეწყდა, როცა ანგარიში იყო 1:4*

ბეშიქთაში	17	13	4	0	42:15	43
ფენერბაჰჩე	18	11	5	2	41:22	38
ტრაბზონი	18	9	4	5	26:23	31
დენიზლი	18	9	3	6	32:22	30
მალათია	18	8	6	4	29:19	30
გალათასარაი	18	8	6	4	27:23	30
გაზიანთეფი	18	9	2	7	26:24	29
გენჩლერბირლიგი	18	8	3	7	32:21	27
დიარბაქირი	18	7	5	6	25:22	26
სამსუნი	17	6	5	6	25:28	23
ანკარაგიუჯიუ	18	6	4	8	26:31	22
ისთანბული	18	6	3	9	27:26	21
კონია	18	4	9	5	26:29	21
რიზე	18	5	3	10	17:31	18
სებათი	18	4	5	9	20:29	17
ბურსა	18	2	7	9	16:25	13
ელაზიგსფორი	18	2	6	10	20:43	12
ადანა	18	3	2	13	15:39	11

მექსიკა
კლაუსურა. II ტური

ტოლუკა — ხაგუარესი 2:1; ვერაკრუსი — მონტერეი 1:1; კრუზ ასული — ამერიკა 1:1; გვადალახარა — ატლანტე 1:0; ტიგრესი — პაჩუკა 3:3; ნეკაქსა — სანტოს ლაგუნა 2:2; კერეტარო — მორელია 2:2; უნამი — ატლასი 3:0. *ირაპუატო — ტეკოსი და პუებლა — სან ლუისი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

ინგლისი
I დივიზიონი. XXVIII ტური

ბრეიფორდი 1:2 პრინტალ პალასი
0:1 ჯონსონ (13), 0:2 შაკირი (16), 1:2 -უოლვორკი (27)

ნორვიჩი	28	15	8	5	45:26	53
ვესტ ბრომვიჩი	28	14	9	5	39:23	51
შეფილდი	27	14	7	6	45:30	49
სანდერლენდი	28	13	8	7	36:24	47
იფსვიჩი	28	13	7	8	53:43	46
უიგანი	28	12	10	6	39:30	46
პრესტონი	28	12	7	9	43:35	43
ვესტ ჰემი	28	10	12	6	39:28	42
რედინგი	28	12	6	10	32:34	42
კარდიფი	28	11	8	9	46:37	41
მილუოლი	28	10	10	8	31:27	40
სტოკი	28	11	6	11	36:35	39
ქრიუ	28	11	6	11	37:38	39
კრ. პალასი	29	10	8	11	39:42	38
ქოვენთრი	28	8	12	8	36:33	36
უოლსოლი	28	9	8	11	29:35	35
როტერჰემი	28	8	10	10	30:39	34
ჯილინგემი	27	9	6	12	32:42	33
ბარნლი	28	7	9	12	38:48	30
უოტფორდი	28	7	9	12	29:39	30
ნოტინგემი	27	7	7	13	34:37	28
დერბი	27	6	9	12	28:44	27
ბრედფორდი	29	6	5	18	22:42	23
უიმბლდონი	28	5	3	20	27:54	18

II დივიზიონი

გადადებული მატჩები: ბლეკპული — ოლდემი 1:1; ბორნმუთი — ქუინზ პარკი 1:0; ბრენტფორდი — რექსემი 0:1; ბრაიტონი — ბარნსლი 1:0; ჩესტერფილდი — უიკომბი 2:2; პარტლპული — ბრისტოლი 1:2; ნოტსი — სუინდონი 1:2; შეფილდ უენსდი — პიტერბრო 2:0; სტოკპორტი — პლიმუთი 0:2

III დივიზიონი

გადადებული მატჩები: დონკასტერი — ლინკოლნი 0:2; როვერსი — კარლაილი 1:0; ბერი — კიდერმინსტერი 0:0; კემბრიჯი — როჩდეილი 0:0; ჩელტენემი — ჰალი 0:2; მენსფილდი — საუთენდი 1:0; ტორკი — მაკლსფილდი 4:1; იოვილი — ლეიტონი 1:2; იორკი — ჰადერსფილდი 0:2

კონფერენსლიგა

გადადებული მატჩები: ბარნეტი — მარგეიტი 3:1; ბარტონი — აკრინგტონი 1:1; დაგენემი — ექსეტერი 0:2; გრეივსენდი — სტივენეიჯი 2:3; ჰალიფაქსი — შრიუსბერი 0:0; ლეიფი — მორეკამბი 3:1; ნორსვიჩი — ჩესტერი 0:4; უოქინგი — ფორესტ გრინი 1:1; ფარნბორო — ალდერშოტი 4:0

საბერძნეთი
ეროვნული ლიგა

მე-17 ტური: პაოკ — აკრატიტოსი 2:2; იონიკოსი — ეგალეო 0:0; არისი — პანილიაკოსი 1:0; ქსანთი — ხალკიდონა 2:1; აეკ — ირაკლისი 4:0; ოფი — პანიონიოსი 1:1; ოლიმპიაკოსი — პროდეფტიკი 4:0; კალითეა — პანათინაიკოსი 0:3

ოლიმპიაკოსი	18	14	2	2	44:11	44
პანათინაიკოსი	18	13	4	1	35:11	43
პაოკ	18	11	4	3	29:16	37
აეკ	18	10	5	3	39:17	35
ეგალეო	18	9	6	3	21:12	33
პანიონიოსი	18	6	8	4	25:19	26
ხალკიდონა	18	7	5	6	25:23	26
ირაკლისი	18	7	5	6	24:23	26
ოფი	18	5	5	8	18:30	20
იონიკოსი	18	5	4	9	20:26	19
ქსანთი	18	5	4	9	17:25	19
არისი	18	5	4	9	17:25	19
პანილიაკოსი	18	3	6	9	23:32	15
კალითეა	18	1	8	9	20:30	11
პროდეფტიკი	18	1	7	10	10:31	10
აკრატიტოსი	18	1	5	12	16:52	8

კარლსბერგის თასი
მატჩი მე-3 ადგილისთვის
შვედეთი 3:0 ჰონ კონგი
ფინალი
ნორვეგია 3:1 ჰონდურასი



ტოსკანელი სკიეტი

ლიპის უყვარს ნუგბარი და პირში თქმა

„ივენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი წარმოსადეგი, თითქოსდა აუღელვებელი კაცია. თვით იტალიაში, სადაც იმიჯი ბევრს ნიშნავს და იოლად იკარგება, იგი ხელშეუხებელია. მისი იერი და ღიმილი მარადიულ პრესტიჟს განასახიერებს. მაგრამ სიმართლე სხვაა — ამ ყოველივეს მიღმა არც მეტი, არც ნაკლები, ტოსკანელი, კერძოდ კი ზღვისპირა ვიარეჯოელი ბიჭია, ხოლო ტოსკანია ის მხარეა, სადაც ხალხი რასაც ფიქრობს, პირდაპირ ამბობს და ვერც რბილი ბუნებით გამოირჩევა

„დიახ, დიახ. ჩვენ ტოსკანელები „სკიეტი“ ანუ პირდაპირები ვართ“ — იღიმება 55 წლის ბაბუა და ტოსკნიური სიალალით არ მალავს, რომ შარშან წაგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი დღემდე ლოდად აწევს გულზე:

„ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც ხელს ჩაიქნევ და იტყვი, მათ მხოლოდ და მხოლოდ პენალტებში გვაჯობეს. არა, ასეთი განმარტება შეუძლებელია. ჩვენ ჩვეულებრივად წავაგეთ.“

მარჩელო ლიპი იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. დღეს მასზე მეტი ჯილდო მხოლოდ ორს, არიგო საკისა და ფაბიო კაპელოს სჭერიათ ხელში. „იუვენტუსში“ გატარებული შვიდი სეზონის მონაგარი ხუთი სკუდეტოა, მას გარდა კი ჩემპიონთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი და კოპა იტალია. აქვე უნდა ითქვას, რომ მარჩელო ლიპის ხელში „იუვენტუსმა“ კიდევ სამჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

რა არის ლიპისთვის კარგი მწვრთნელობის ნიშანი? მხოლოდ ერთი რამ, ფეხბურთელების სწორი, საბრძოლო სულისკვეთების გამოვლენა.

„გამარჯვებულის მენტალიტეტი გამარჯვებებს მოაქვს — ამბობს იგი და იქვე ტოსკანიური პირდაპირობით დასძენს — არა, ეს მათთვის მე არ ჩამინერგავს, უბრალოდ, ადამიანთა ჯგუფი მოგებას სწავლობს. მაგალითად, თუ გუნდი მაღალ ლიგაში გადავა, შემადგენლობის გამოცვლა, აქაოდა, ძველები უმაღლეს დონეზე ვერ ითამაშებენო, დიდი შეცდომაა. როგორც კი იწყებ ფიქრს, რომ ტექნიკური ხარისხის ასამაღლებლად არსებულზე უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთელები უნდა იყიდო, შენს ხელთ არსებულ ერთ ძალიან სერიოზულ კოზირს კარგავ.“

შემდეგ ლიპი განმარტავს, თუ როგორ ათამაშა „იუვენტუსი“ მის ერთ-ერთ საუკეთესო წლებში.

„ჩემი პირველი სეზონის (1994-95) წინ „იუვეს“ სკუდეტო თითქმის ათი წლის მოუგებელი ჰქონდა, ამიტომ ასეთი გეზი ავიღე ყველა შეჯიბრებაში, ჩემპიონატში, იტალიის თასზე და უეფას თასზე, ზედიზედ 12-13 თამაში მოვიგეთ და სწორედ ეს გამოდგა მნიშვნელოვანი „გამარჯვებული მენტალიტეტის“ ჩამოსაყალიბებლად. ჩვენ გაგვიჩნდა საკუთარი გეგმის და ძალის რწმენა.“

ბოლო ცხრა წელიწადში მარჩელო ლიპი ორჯერ წავიდა „იუვედან“.

„როდესაც კიდევ ერთხელ გამიშვებენ, მე მათ დიდ მადლობას ვეტყვი, რადგან ამ კლუბმა პროფესიული ამბიციების დაკმაყოფილების, დიდი ფულის შოვნის და მშვენიერი ცხოვრების საშუალება მომცა“ — ამბობს მწვრთნელი, რომლის ფიქრებში ფეხბურთიდან სამუდამოდ წასვლის პერსპექტივაც კი იკვეთება ხანდახან.

„ფეხბურთელი და მწვრთნელი რომ არ ვყოფილიყავი? ალბათ, საკონდიტრო მექნებოდა. ჩემი მშობლები ამით ირჩენდნენ თავს. მე მიყვარს ტკბილეული.“

პაპუნა კედია

აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

ნკუნზინგომობა დაჭყო

A ჯგუფი

ტუნისი 2:1 რუანდა

1:0 ჯაზირი (27), 1:1 ჟოაუ ელიასი (32), 2:1 დუშ სანტუში (57)

კონგოს დრ 1:2 გვინეა

1:0 მასუდი (35), 1:1 ტ. კამარა (68), 1:2 ფეინდუნო (81)

აფრიკულ ფეხბურთზე საუბრისას შეიძლება ვთქვათ, რომ ტუნისს რუანდაზე ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალა კლასს ნიშნავს და არა ჯანღონეს. ტუნისელი ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში თამაშობენ, რუანდელები — არა, თუმც მოედანზე სირბილ-გამძლეობაში სხვაობა, ფაქტობრივად, წაშლილია.

ეს შესავალი რუანდელთა გამო დაგვჭირდა, რადგან თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე პირველად მოხვდნენ და მასპინძლები გახსნისავე მატჩში გვარიანად ანერვიულეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ტუნისელთა ფრანგ მწვრთნელ როჟე ლემერს ჟურნალისტი ბასრი კითხვით მიეჭრა. სუსტი დებიუტანტის ძლევა ძალიან გაგიჭირდათ და ამ ფაქტმა 2002 წლის საფრანგეთ-სენეგალი ხომ არ გაგახსენათო. ლემერმა მიუგო: „კორეა-იაპონიის ამბავი უკვე ჩავლილია და ვცდილობ, აღარ გავიხსენო. გახსნის მატჩი ყოველთვის რთულია, მეტოქემ საკადრისი წინააღმდეგობა გაგვიწია და ვფიქრობ, პატივისცემას იმსახურებს“.



ტუნისი — რუანდა. მასპინძლები სირცხვილისგან დუშს სანტუშმა იხსნა

რამადჰანი ნკუნზინგომა, რუანდელთა მეკარე, გადაჭედილი სტადიონის დანახვამ დააბნია. ბურთის თამაშში შეყვანისას რამდენჯერმე შეცდა და 60-ათასიანი „რადესის“ არაბობას კრიალოსანი სიცილ-ხარხარით აათამაშებინა. დებიუტანტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვალები მალე მოიფშვნიტეს და დალაგდნენ.

პირველი ტაიმის შუაწელში სალიმ ბენაშურის პასით ზიად ჯაზირიმ ნკუნზინგომას გაუტანა.

გოლმა მასპინძლები იოლ გამარჯვებაში ნაადრევად დაარწმუნა და მეტოქისგან მალე დაისაჯნენ. სტუმრებმა საჯარიმოს უფლება მოიპოვეს. ჟოაო ელიასმა ტუნისელთა ცოცხალი კედელი კედლადვე დატოვა, ბურთი ცაციით კარის კუთხეში მოხდენილად ჩასვა.

ტომით ანგოლელმა ჟოაო რაფაელ ელიასმა გოლი კუთხურის ალამთან, როჟე მილას საცეკვაო ილეთების შესრულებით იზემა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში რუანდელები კაცნაკლულნი დარჩნენ. კამერუნელმა მსაჯმა ევეჰე დივინემ სტუმართა კარისკენ ჯარიმა დანიშნა. აბდულ სიბომანამ განაჩენი გააპროტესტა, წესის დარღვევა არ ყოფილა, რად გვჩაგრავო, დივენეს აუხირდა. სიბომანას პროტესტი მთლად ცივილიზებულ ფორმებში ვერ ჩაეტია (უფრო მიტინგს ჰგავდა) და მსაჯმა რუანდელი გააძევა.

გაძევებულს გული გოლს თუ უგრძნობდა, რადგან სალიმ ბენაშურის მიერ შესრულებული ჯარიმით დუშ სანტუშმა იხეირა. რა უნდა სანტუშს ტუნისის ნაკრებში? ბრაზილიელია, მაგრამ რამდენიმე წლის წინ იქაურ კლუბში მოთამაშეს მოქალაქეობა მიუღია და შემდეგ ფრანგულ „სოშოში“ გადასულა. გასულ შემოდგომაზე სოშოელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ.

მატჩში ორი საგოლე პასის გამჩარხავ ბენაშურს თავადც ძალიან სურდა გატანა და პენალტის მოსანადირებლად საჯარიმოში წაიქცა. დივინემ პსჟ-ს ლეგიონერი ცუდი მსახიობობისთვის ყვითელი ბარათით გააფრთხილა, რომელიც მეორე გამოდგა და ტუნისელებიც ათნი დარჩნენ.

ამ მომენტიდან შეხვედრის დასრულებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, მაგრამ როჟე ლემერის გუნდმა ანგარიშში სხვაობის გაზრდაზე ზრუნვას სამი ქულის დაბევება არჩია.

რუანდელთა სერბი მწვრთნელი რადომირ დუიკოვიჩი ნამატჩევს კმაყოფილი ჩანდა: „ჩემმა ბიჭებმა სრულიად აფრიკას დაანახეს, რომ ღირსეულად თამაში შეუძლიათ. მათ უნდა იამაყონ. რუანდასავით პატარა და ღარიბი ქვეყნისთვის ფრიად სასიხარულოა, მისმა შვილებმა ასეთ ტურნირზე ერთი გოლიც რომ გაიტანონ.“

ვაჟა ხუციშვილი

გვინეა	1	1	0	0	2:1	3
ტუნისი	1	1	0	0	2:1	3
კონგოს დრ	1	0	0	1	1:2	0
რუანდა	1	0	0	1	1:2	0

II ტური, 28 იანვარი

ტუნისი — კონგოს დრ

რუანდა — გვინეა

C ჯგუფი. I ტური

ზიმბაბვე 1:2 ეგვიპტე

1:0 ნდლოვუ (46), 1:1 აბდელჰამიდი (58), 1:2 ბარაქათი (63)

კამერუნი 1:1 ალჟირი

1:0 მბომა (43), 1:1 ზაფური (52)

ეგვიპტე	1	1	0	0	2:1	3
ალჟირი	1	0	1	0	1:1	1
კამერუნი	1	0	1	0	1:1	1
ზიმბაბვე	1	0	0	1	1:2	0

II ტური, 29 იანვარი

კამერუნი — ზიმბაბვე

ალჟირი — ეგვიპტე

კამერუნელთა საგოლე ცეკვა

კვირაში თერთმეტი დღეა

რატომ არ გახდა პლატინი მსაჯი

გთავაზობთ ფიფას ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ საუბარს მსაჯობის პრობლემის შესახებ. საუბარში ფიფას პრეზიდენტი და სხვა ცნობილი საფეხბურთო მოღვაწენი მონაწილეობენ

სტეფან ბრე (მსაჯი): ამ ბოლო დროს გახშირდა ლაპარაკი მსაჯთა პროფესიონალიზმზე. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე და რა მითითებებს მისცემთ პროფესიულ ლიგებს საქმე ოპტიმალურად რომ წავიდეს?

იოზეფ ბლატერი: მსაჯთა პროფესიული სტატუსის განსაზღვრა ახალი იდეა არ გახლავთ, უბრალოდ მასზე საუბარი ხან ძლიერდება, ხან სუსტდება. ფიფაში ამ საკითხს ანხელ მარია ვილიარი ხელმძღვანელობს. იგი ახალგაზრდობაში თავად ფეხბურთელი გახლდათ, ესპანეთის ნაკრებში 38 შეხვედრა აქვს ნათამაშევი. დღეს ანხელ მარია ვილიარი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია და ძალიან კარგად იცის, რომ თანამედროვე ფეხბურთი მეტისმეტად პროფესიულია. უყურებ მატჩს და თვალში გეცემა, რომ უკიდურესად პროფესიული მედიცინის, ადმინისტრაციის, ტექნიკური ჯგუფის, ბიზნესის შექმნილია ეს ყველაფერი. გუნდები მართლაც დიდი სტიმულით გადიან მოედანზე. აქ მხოლოდ ფულს კი არა, პრესტიჟსაც ვგულისხმობ, როგორც ერთი ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის, საერთაშორისო დონეზე და გამოდის, რომ ამ პროცესში ერთადერთი არაპროფესიონალი, რომელსაც იმავდროულად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, მსაჯია. ახლა კი ნება მიბოძეთ ასეთი კითხვა დავსვა: რამდენ ხანს უთმობენ მსაჯები ფიზიკურ, გონებრივ და ტექნიკურ მომზადებას?

სტეფან ბრე: მე, მაგალითად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ სინამდვილეში ორ საქმეს ვაკეთებ, სახელი ორივეს კი ერთი ჰქვია. კერძოდ, ტურსა და ტურს შორის მიწევს ვარჯიშიც და სადისციპლინო კომიტეტის სხდომებზე დასწრებაც, რასაც სულ მცირე ორი დღე მაინც სჭირდება.

იოზეფ ბლატერი: ხოლო, როგორც საფრანგეთის ჩემპიონატის მსაჯი ალბათ ერთ დღეს მგზავრობაში ხარჯავთ.

სტეფან ბრე: ვალდებულნი ვართ, დილით ადგილზე ვიყოთ, ასე რომ, ღამეს გზაში ვატარებთ.

იოზეფ ბლატერი: და, ვინაიდან, უკანაც ბრუნდებით, მოგზაურობასაც ჯამში ორი დღე მიაქვს. გამოდის, რომ კვირაში ოთხ დღეს მსაჯობაზე ხარჯავთ, რასაც ემატება ხუთდღიანი სამუშაო კვირა, რომელსაც თქვენს დარგს, ასე ვთქვათ, თქვენს პროფესიას ახმართ. გამოვიდა, რომ ცხრადღიანი სამუშაო კვირა გაქვთ, ხოლო თუ დასვენებისთვის კანონით გამოყოფილ ორ დღესაც დავამატებთ, მივიღებთ, რომ მსაჯებისთვის კვირა თერთმეტი დღისგან შედგება. ამიტომ, ფიფაში მსაჯთა პროფესიონალიზმის მოდელებს ვამუშავებთ და ამ მოდელებს ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციებს ვთავაზობთ. ეს განკარგულება კი არა, შეთავაზებაა, ისე კი ვიცით, რომ მსაჯთა ხელფასებისთვის საკმარისი თანხები არსებობს. მაგალითად, მსურს ვკითხო კლუბების პრეზიდენტებს, შეუძლიათ თუ არა წლიური ბიუჯეტის ხუთი პროცენტი მსაჯთა პროფესიული სისტემის ამუშავებას მოახმარონ? მაგრამ არის მეორე საკითხიც. ვინაიდან ფინანსურ მხარეს მოევლება, უფრო მნიშვნელოვნად ფეხბურთელთა და მსაჯთა ურთიერთობა მიმაჩნია...

იური ჯორკაეფი (ფეხბურთელი): დღეს ურთიერთობები ფეხბურთელებსა და მსაჯებს შორის ყალბია, რადგან ჩვენ, ფეხბურთელებმა ვიცით, რომ სასტვენიანი კაცი ჩვენს დონეზე არ არის.

იოზეფ ბლატერი: მართალია და ამიტომ პროფესიულ ფეხბურთელს მსაჯობაც პროფესიული სჭირდება. მაშ, ვინ არის ამის წინააღმდეგი? მოგახსენებთ, თავად ყოფილი მსაჯები, რომლებიც აქამდე არსებული მდგომარეობით კმაყოფილნი იყვნენ. მაგრამ პროფესიული მსაჯობა უკვე არსებობს, მაგალითად, ესპანელები მსაჯებს წელიწადში 50 ათას დოლარს უხდიან, ოღონდ ოთხი დივიზიონის მომსახურეობაზეა ლაპარაკი. მექსიკაში, არგენტინასა და ბრაზილიაში მსაჯებს კონტრაქტები აქვთ, გერმანელი არბიტრები თვეში სამი თამაშის მომსახურეობაში დაახლოებით 2500 დოლარს იღებენ...

სტეფან ბრე: მაგრამ პროფესიონალია მსაჯი თუ არა, შეცდომა ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. რას იტყვით სამსაჯო აღჭურვილობის და... აპარატურის საკითხზე?

იოზეფ ბლატერი: დღეს მსაჯი მართალია, მოედანზე მარტო არ არის და მას ორი თანამსაჯი ეხმარება, მაინც იგია მთავარი მოსამართლე, დროის ამთვლელი, მზომელი, აღმასრულებელი და სხვა. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება კითხვა, ჯერ თანამსაჯები ხომ არ გავააქტიუროთ? მაგალითად, ჰოკეის მსგავსად მთავარმა მსაჯმა პერსონალური ჯარიმები დანიშნოს, ხოლო ისეთი საკითხები, როგორიცაა თამაშგარე იყო თუ არა, ან ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა, თანამსაჯებისთვის ხომ არ მიგვენდო? ეს ერთი. რაც შეეხება მეორე იდეას: ჩვენ ყველანი ვხედავთ, რით არის დაკავებული მეოთხე მსაჯი. იგი თამაშის განმავლობაში დიდ დროს სათადარიგო ფეხბურთელებთან საუბარში ატარებს. ხომ არ აჯობებდა სანაცვლოდ დრო აღერიცხა? თუმცა ერთი ფაქტია: მსაჯი შეცდომას ყოველთვის დაუშვებს. ყოველთვის შეცდებიან ფეხბურთელებიც. ერთადერთი, ვინც არასდროს შეცდება, მაყურებელი იქნება. ეს ფეხბურთის სამყაროა, ეს ფეხბურთის სულია. ჩვენ ვერ დავაყენებთ ყოველ კუთხე-კუნჭულში კამერებს, რათა ყოველ კონკრეტულ ეპიზოდში განვსაზღვროთ იყო თუ არა ოფსაიდი ან გოლი. ფეხბურთმა ადამიანური სახე უნდა შეინარჩუნოს. რაც მეტი ტექნიკა და მეცნიერება ჩაერევა, მით უფრო დაკარგავს თამაში ჰუმანურობას, ემოციას, ვნებას. გამოვა, რომ თამაში ნებისმიერი ეპიზოდის საანალიზოდ უნდა ვაჩვენოთ და სხვა. ეს არ შეიძლება, ფეხბურთმა მომავალშიც თავისი შეცდომებით უნდა იარსებოს. ფეხბურთი, ბოლოს და ბოლოს, სანახაობაა...

ალან ჟირესი (მწვრთნელი): ჩემი დაკვირვებით, მსაჯობის დონე ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, მერედა წესების ინტერპრეტაციაც სხვადასხვაა. ხანდახან არბიტრთა გადაწყვეტილება გაუგებარი ხდება. ხშირად ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე განსხვავებულ სტანდარტებზე რეაგირება ძნელია.

იოზეფ ბლატერი: ერთი და იგივე ეპიზოდის ერთნაირი აღქმა ყველაზე რთული პრობლემაა. ასე განსაჯეთ, ერთი და იგივე ქვეყნის ორ მსაჯსაც კი სხვადასხვა ფსიქოლოგია აქვს. იმედი მაქვს, რომ მსაჯობას ყოველთვის ყოფილი ფეხბურთელები მოჰკიდებენ ხელს და გუნდების ვარჯიშებსაც დაესწრებიან, რათა თამაშის არსი უკეთ გაიგონ. სხვათა შორის, ბევრი მსაჯი წესების ისეთ დაკონკრეტებას გვთხოვს, რომ ინტერპრეტაცია საჭირო აღარ არის.

სტეფან ბრე: მაშ თქვენ ვიდეოტექნიკის წინააღმდეგი ბრძანდებით

იოზეფ ბლატერი: ვიდეოტექნიკის წინააღმდეგი არ ვარ თუ ამ ტექნიკას მატჩის შემდგომ გამოვიყენებთ. ვიდეოჩანაწერის ანალიზს სწავლის ფუნქცია აქვს, აგრეთვე ძალიან გამოსადეგია იგი სადისციპლინო კომიტეტებისთვის.

ჟერვას მარტელი („ლანსის“ პრეზიდენტი): ბატონო პრეზიდენტო, მინდა ქვეყნებს შორის განსხვავებას შევეხო. მაგალითად, ჩემი გუნდისა და „არსენალის“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ჩემი ფეხბურთელი ვერელი მოედნიდან გააძევეს. მატჩისშემდგომ დატრიალებულმა ვიდეოჩანაწერმა გვაჩვენა, რომ ვერელს წესი არ დაურღვევია, თუმცა უეფაში მიწერილმა აპელაციამ შედეგი არ მომცა. ხომ არ შეგვიძლია ამ მხრივ კონკრეტული, ნათელი პოლიტიკა ვაწარმოოთ?

იოზეფ ბლატერი: ფიფა არც კონფედერაციებს და არც ეროვნულ ასოციაციებს არ ავალდებულებს ვიდეოაპარატურით ხელმძღვანელობას, ასე რომ, ჩანაწერს შეხედავენ თუ არა მათი საქმეა. გავიხსენოთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, როდესაც ტასოტმ ენრიკეს ცხვირი გაუტეხა, მაგრამ მსაჯმა არ დასაჯა, შემდეგ კი ვიდეოჩანაწერის ძალით დაისაჯა.

ალან ჟირესი: თუ ჩვენი ამოცანა ფეხბურთის სანახაობრივი მხარის გაუმჯობესებაა, მაშინ აჯობებდა კუთხურების დროს საჯარიმოებში შეგვეხედა. რაც იქ ხდება წარმოუდგენელია და მსაჯებს პრობლემებს უქმნის.

იოზეფ ბლატერი: მსაჯობაში მეტი თანმიმდევრულობა გვმართებს. კერძოდ, როგორც უკნიდან ჩახტომის მიმართ გავხდით მკაცრნი, ზუსტად ასე უნდა გავხდეთ მაისურზე დაქაჩვების მიმართ. მინდა გითხრათ, რომ მაისურზე ქაჩვა გაცილებით ანტისპორტულია, ვიდრე ბურთისთვის წესის დარღვევით ბრძოლა. მსაჯებმა ასეთი ფეხბურთელები უნდა დასაჯონ და არა მხოლოდ საჯარიმოში.

სტეფან ბრე: თეორიულად ყველანი ერთმანეთს ვეთანხმებით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება... მაგალითად, მე ბატონი ჟირესის გუნდის კარში ორი პენალტი რომ დავნიშნო, იგი ამას ვერ გაიგებს სწორად. იქნებ მართლაც ჯობდეს მსაჯებად ყოფილი პროფესიონალები გვყავდეს, მაგრამ ვეჭვობ, იგივე ბატონი ჟირესი ან მიშელ პლატინი ოდესმე დათანხმდებოდნენ ძალების ამ საქმეში მოსინჯვას.

ალან ჟირესი: ჩვენ ფეხბურთის თამაშს თავი რომ დავანებეთ, ასაკოვანნი ვიყავით.

იოზეფ ბლატერი: საერთოდაც ვეჭვობ, დიდმა ვარსკვლავებმა მსაჯობა ისურვონ, მაგრამ არის უამრავი ყოფილი პროფესიონალი, რომელიც სიამოვნებით იმსაჯებდა. ამას ითვალისწინებს კიდეც ჩვენი პროგრამა მსაჯთა პროფესიონალიზმის შესახებ. აუცილებელია ყოფილმა ფეხბურთელმა შემდეგ გამოცდილება მიიღოს და უმაღლეს დონემდე აუცილებელი საფეხურები გაიაროს. წინ დიდი სამუშაოა.

პაპუნა კედია

ტიტოვს დრო დაუნიშნეს

26 იანვრის შუადღის 12 საათამდე ეგორ ტიტოვს უეფას გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია, მერე უკვე გვიან იქნება.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების 27 წლის ფეხბურთელს სისხლში აკრძალული ნივთიერება უპოვეს. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, მოთამაშეს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, 6 400 ევროთი დააჯარიმეს, „სპარტაკს“ კი 12 800 ევრო შეაწერეს. ტიტოვი ფეხბურთს ერთი წლით ჩამოაშორეს, იმიტომ, რომ მას ძარღვებში უეფასგან შერისხული ბრომანტანი აღმოაჩნდა.

რუსული მედია იკვლევს, თუ საიდან მოხვდა მოთამაშის სისხლში ეს ნივთიერება. „სპარტაკის“ ექიმის, არტემ კატულინის თქმით უელს-რუსეთის საპლეიოფო მატჩამდე ოთხი დღით ადრე, ანუ 11 ნოემბერს მან ეგორს რემანტოდინი დაალევინა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ფეხბურთელი გაციებული იყო და რემანტოდინი მიიღო როგორც ანტიგრიპოზული საშუალება. ნახსენები წამალი ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე მოქმედებს და თან კონცენტრაციის უნარს აძლიერებს.

აღსანიშნავია, რომ ეგორ ტიტოვს იმ მატჩში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, არ უთამაშია და 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

„სპარტაკისა“ და რუსთა ნაკრების ნახევარმცველმა განმეორებითი (B) ტესტის გავლა იუარა, ხოლო, გაასაჩივრებს თუ არა იგი უეფას გადაწყვეტილებას, დღეს გაირკვევა.

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, უეფასთან დავა შეიძლება, იმიტომ, რომ როცა მოთამაშე დოპინგ-ტესტზე პირველად „ჩავარდება“, მას ოდენ ექვსი თვით სჯიან, ტიტოვის შემთხვევაში ერთი წელი უსამართლობაა.

რაც შეეხება უელს-რუსეთის პლეიოფის შედეგის გაუქმებას, რუსეთის მოკვეთას ევრო 2004-იდან და მის ნაცვლად უელსელთა ჩასმას, უეფას წარმომადგენლის, რობ ფოლკნერის განცხადებით, ეს აბსურდულია.

ვაჟა ხუციშვილი

დასაწყისი იხილეთ „სარბიელი“ №11

ედვარდ ფიცჯერალდი შეძლებული ინგლისელი მოგზაური იყო. ერთხელაც აკონკაგუაზე ასვლაც მოინდომა, მაგრამ რაკი მარტო ვერას გახდებოდა, გუნდი შეკრიბა. ფიცჯერალდს განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ ექსპედიციაში ჰყავდა გამოცდილი შვეიცარიელი გიდი მატიას ცურბრიგენი, ვისთანაც ძველი ნაცნობობა და ახალი ზელანდიის მთებში ერთობლივი ლაშქრობები აკავშირებდა. მაშინ, 1894 წელს ისინი სხვა თანაგუნდელებთან ერთად ახალი ზელანდიის სიმაღლით მეორე მწვერვალ ტასმანის ფერდობებზეც იყვნენ, მაგრამ ბრიტანელს არ გაუმართლა, მიზანს კი ცურბრიგენმა და ახალზელანდიელმა ჯეკ კლარკმა მიაღწიეს.

ასე რომ, ფიცჯერალდი თავის გუნდთან ერთად დიდი იმედებით მიადგა აკონკაგუას, თუმცა, ეს მწვერვალი ახალი ზელანდიისას სიმაღლეში თითქმის ორჯერ აღემატებოდა.

ბრიტანელთა ეს ექსპედიცია ორი თვის განმავლობაში ცდილობდა ასვლას, მაგრამ მწვერვალზე ამავალ გზას ვერა და ვერ პოულობდა. ბოლოს, მეხუთე ცდაზე, ურემი რომ გადაბრუნდა, გზაც გამოჩნდა.

სამწუხაროდ, ამ დროს ექსპედიციის წევრები, მათ შორის ფიცჯერალდიც ორთვიანი ჭაპანწყვეტით ისე დაქანცულიყვნენ, რომ სიარული აღარ შეეძლოთ, ცურბიგენი კი თავს მხნედ გრძნობდა და მწვერვალსაც მარტომ შეუტია. შეუტია და მიზანსაც მიაღწია.

მაშინ ფიქრობდნენ, რომ აკონკაგუა შვიდიათასიანი მწვერვალიაო, იმ დროს კი ასეთი სიმაღლის პიკები საერთოდ დაულაშქრავი იყო. ამიტომ ცურბრიგენი ერთ ხანს შვიდიათასიანზე პირველამსვლელად ითვლებოდა, მერე კი, როცა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს, შვიდიათასიანზე პირველამსვლელებად ინგლისელი ტომას ლონგსტაფი და ალპიელი გიდები, ძმები ბროხელერები აღიარეს, რომლებმაც 1907 წელს ჰიმალაიზე ადგილობრივ გამყოლ კარბირთან ერთად ტრისული (7120 მ) დალაშქრეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ანდების „თეთრ გუშაგს“, რომელსაც ცურბრიგენმა მიაღწია. მწვერვალიდან დაბრუნებული ცურბიგენის წარმატებამ ფიცჯერალდს ფრთები შეასხა და ენერგია რომ მოიკრიბა, მწვერვალზე ამავალ უფრო იოლ გზას მიაგნო, მაგრამ იმ დროისთვის საბოლოოდ გამოიფიტა და ბოლოს მაინც უმწვერვალოდ დარჩა.

ახლა ის იოლი გზა, როგორც ვთქვით, ბევრ მთამსვლელს მწვერვალისკენ იტყუებს და ეს ზოგს სიკვდილის ფასად უჯდება. პირველი ტრაგედია 1929 წელს დატრიალდა, როცა აკონკაგუას ფერდობებზე ერთი მთამსვლელი დაილუპა. მას მერე მისი ბედი კიდევ 50-ზე მეტმა კაცმა გაიზიარა. უცნაური კი ისაა, რომ მათგან უფსკრულში არავინ გადავარდნილა და არც ქვათაცვენაში

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲐᲙᲝᲜᲙᲐ�გᲣᲐ

ან ზვავში დაღუპულა, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა მწვერვალებზე ხდება. აკონკაგუაზე დაღუპულთა უმრავლესობისთვის საბედისწერო სწორედ ის იოლი გზა აღმოჩენილა, სადაც მისი სიმარტივის გამო მთამსვლელები სწრაფად მიიწევენ მწვერვალისკენ და აკლიმატიზაციას ვერ ასწრებენ. ამის გამო 2500-3000 მეტრის სიმაღლეზეც კი დაღუპულან.

ცნობილია, რომ დიდ სიმაღლეზე, ჟანგბადის ნაკლებობის გამო, მრავალი ორგანოს მუშაობა ირღვევა. თითოეულ ზემოთ გადადგმულ ნაბიჯზე კლებულობს ატმოსფერული წნევა, ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვებში სულ ცოტა ჰაერი ხვდება. დაუძლურების პირველი ნიშნები 2500 მეტრიდან იწყება, 5400 მეტრის სიმაღლეზე კი მთის გაიშვიათებული ჰაერი მთელ ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს. ამ დროს განსაკუთრებით შიმშილობას თავის ტვინი განიცდის. შედეგად, მთამსვლელებს ეწყებათ ჰალუცინაციები, კომაში ვარდებიან, ემართებათ ინსულტი, შინაგანი სისხლდენა, უსკდებათ ფილტვები...

და მაინც, აკონკაგუაზე ერთ სეზონში ასობით მთამსვლელი ადის. ნავარჯიშებ, აკლიმატიზაციაგავლილ მთამსვლელს სამხრეთ ამერიკის კენწეროზე ასასვლელად მას მერე, რაც მენდოსადან 183 კილომეტრით დაშორებულ პუენტა დე ლინკას დატოვებენ. სალაშქროდ ოთხი-ექვსი დღე სჭირდებათ. მთამსვლელებს გზად ხვდებათ ალპინისტური ქოხები, თუმცა იქ ღამისთევას საკუთარ კარვებში ამჯობინებენ. ბოლო ღამისსათევიდან მწვერვალამდე 6-7 საათის სავალია, სადაც ყველაზე რთული მონაკვეთი მხოლოდ 33-გრადუსიანი დახრილობის 400-მეტრიანი მონაკვეთია, უკან დაბრუნებას კი ორი დღე სჭირდება.

იმ ბოლო ღამისსათევი ადგილიდან მწვერვალისკენ ორი გზა მიდის — ერთი ის, რომლითაც ცურბრიგენი ავიდა, მაგრამ ის ბილიკი ძლიერი ქარისგან დაუცველია და ამიტომ ალპინისტები სამხრეთის ქედზე გადასვლას და იქიდან ასვლას ამჯობინებენ. თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით, ორივე გზა ერთნაირია.

აკონკაგუაზე არის რთული მარშრუტიც, რომელიც მთლიანად სამხრეთიდან ადის. ის კომბინირებული მარშრუტია. მთამსვლელებს ხვდებათ ნაშალი ფერდობიც, 3-კილომეტრიანი ყინულოვანი გზაც, სადაც ქვათაცვენაც იცის. ეს გზა პირველად 1954 წელს ექვსმა ფრანგმა გაიარა, რითაც ანდებში ტექნიკურად რთულ ასვლებს ჩაუყარეს საფუძველი.

აკონკაგუაზე ქართული ექსპედიცია ჯერ არ მოწყობილა, თუმცა ჩვენი თანამემამულენი სხვა ქვეყნის მთამსვლელებთან ერთად ასულან, მათ შორის თბილისელი გია თორთლაძე და რუსთაველი — ანრი ქაშაკაშვილი. ამათგან ქაშაკაშვილი აკონკაგუაზე ორი წლის წინათ ავიდა, თორთლაძე კი 1996-ში.

გია თორთლაძე აკონკაგუაზე რუსეთის ცხრაკაციანი ექსპედიციის წევრებთან ერთად ავიდა, რომელსაც სერგეი ეფიმოვი მეთაურობდა. ექსპედიცია მენდოსადან ავტობუსით ოთხსაათიანი მგზავრობის მერე სოფელ პლაზა დე ინკაში ავიდა. იქიდან საბაზო ბანაკამდე ქვეითი ლაშქრობა დაიწყო. ორ დღეში უკან მოიტოვეს 40 კილომეტრი და 4130 მეტრის სიმაღლეზე საბაზო ბანაკი დასცეს. იქ არგენტინელი, ჩილიელი, ამერიკელი, იაპონელი, ესპანელი, ფრანგი, ბელგიელი, ინგლისელი და სხვა ქვეყნების უამრავი მთამსვლელი დახვდათ.

საბაზო ბანაკამდე მწვერვალის სამხრეთიდან ადიოდნენ. აკონკაგუას ამ ფერდობზე თოვლის ვეება ბალიშები იდო, ჩრდილოეთიდან კი თითქმის სულ მოშიშვლებული ოქროსფრად ელვარებდა. ეს ბუნებრივი გახლდათ — აკონკაგუა ხომ სამხრეთ ნახევარსფეროშია და იქ მზე „უკუღმა“ ამოდის. ისიც საინტერესოა, რომ არგენტინელი მთამსვლელები თავიანთ თავს ალპინისტებს კი არა, ანდინისტებს უწოდებენ.

ასე იყო თუ ისე, თორთლაძე თანაგუნდელებთან ერთად საბაზოდან საკლიმატიზაციოდ 5400 მეტრამდე ავიდა. მეორე საკლიმატიზაციო ასვლა ღამისთევით კი 5900 მეტრამდე მოაწყვეს. ბოლოს, გადამწყვეტი იერიში 6200 მეტრის სიმაღლიდან საშინელ ქარში და 35 გრადუსიან ყინვაში დილის 8 საათზე დაიწყო. მარშრუტ თოვლ-ყინულოვანი კი იყო, მაგრამ რთული დასაძლევი არ აღმოჩნდა. ამიტომ ერთმანეთის დაუცველად იარეს, თოკი კი საერთოდ ზედმეტი ტვირთი აღმოჩნდა.

მათი გზა გადიოდა ორ ხეობას შორის მოქცეულ ქედზე. მარჯვნივ ჩრდილოეთის ფერდობები იყო, მარცხნივ — სამხრეთისა, რომლებიც ერთმანეთისგან საოცარი კონტრასტულობით განსხვავდებოდა. 6500 მეტრის სიმაღლეზე ჟანგბადის ნაკლებობა საკმაოდ საგრძნობი აღმოჩნდა. იქ მთამსვლელები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ჰიმალაიზე 7000 მეტრის სიმაღლეზე. 6800 მეტრზე ქარი შედარებით ჩაცხრა, უფრო სწორად, იქ მოფარებული ადგილი იყო, რამაც მთამსვლელებს ცოტა შვება მოჰგვარა, პირველ საათზე კი უკვე მწვერვალზე იყვნენ.

ამ დღეებში აკონკაგუაზე ასასვლელად გაემგზავრება კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე ბიძინა გუჯაბიძე, რომელიც ასევე რუს მთამსვლელებთან ერთად ავა მწვერვალზე.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘ



აკონკაგუას ფერდობებზე...

სამხრეთ ამერიკის კენწეროზე ეს ალუმინის ჯვარია

გია თორთლაძე აკონკაგუაზე



ჩაქრა სიხარულის და სიამაყის ვარსკვლავი

ძალიან დიდი კაცი წავიდა ქართული სპორტის სამყაროდან — ზურაბ საკანდელიძე. სამოცისა არ იყო. დაახლოებით ორმოცი წლის წინ კი მას საოცარი მისია დააკისრა განგებამ: სადღაც ვეებერთელა იმპერიის წითელ სხეულში ჩაკარგული ქვეყნის დათრგუნული ხალხისთვის სიხარულისა და სიამაყის გრძნობა უნდა შეენარჩუნებინა. მან ეს ბრწყინვალედ შეძლო. იგი უყვარდათ, მისი ეამაყებოდათ... ვეებერთელა კალათბურთელმა მხოლოდ საბჭოთა ნაკრების წევრობა არ იკმარა, ოთხჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა და ერთხელ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. იგი შეიქნა მსოფლიოს ჩემპიონი და სრულიად ლეგენდარული მიუნხენის ოლიმპიადის გამარჯვებული, რომლის ფინალში თვით ამერიკელებთან ითამაშა ვირტუოზულად.

...სამწუხაროდ, დღეს ზურაბ საკანდელიძე თავის ხალხთან აღარ არის. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტის ისტორიის კიდევ ერთი თავი ჩამთავრდა. სამწუხაროდ...

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი

ზურაბ საკანდელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ბოისამ გერმანია ბათუმით დააზღვია

ანატოლი ბოისამ ბოლო-ბოლო გადაწყვიტა — გერმანულ „მიტელდოიჩერში“ გასასინჯად მიდის, მაგრამ თუ იქაურებს თავი ვერ მოაწონა, ბათუმის „ბასკოს“ კარი მისთვის ღიაა.

ახლა უფრო კონკრეტულად: გუშინწინ ბოისა და „ბასკოს“ ხელმძღვანელობა შეთანხმდნენ, რომ თუ ტოლიკა „მიტელდოიჩერის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, ან თუ გერმანელები საერთოდ უარს იტყვიან მასზე, სეზონის ბოლომდე ბათუმში ითამაშებს.

პატარა ბოისას მომავალ აგვისტოს კალიფორნიის ვენგარდის უნივერსიტეტის გუნდში ელიან და ბათუმელებსაც ამიტომ დაყაბულდა ამ სეზონის ბოლომდე თანამშრომლობაზე. ის არც გერმანიაში წასვლამდე გამორიცხავს „ბასკოში“ ვარჯიშს — „თუ ვიზის მიღებასა და იმ საბუთების შეგროვებას, რომელიც გერმანიაში წასასვლელად მჭირდება, ორ კვირაზე მეტი დასჭირდა, დროს არ დავკარგავ „ბასკოში“ ვივარჯიშებ, როგორც ამ გუნდის წევრი. ბათუმელებს სიტყვიერად უკვე შეკუთანხმდი, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ოფიციალურ დოკუმენტსაც გავაფორმებთ. თუ „მიტელდოიჩერმა“ ძირითად გუნდში დამიტოვა, ხომ კარგი, თუ არადა „ბასკოში“ ვითამაშებ.“

ჩვენ კი დავძენთ, რომ გერმანელები უმცროსი ბოისათი მანუჩარ მარკოიშვილმა დაინტერესა.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

გინეგით ვერას დამაკლებენ

რაც სტოიაკოვიჩს ევროპაში ხურდა ეფასებოდა...

23 იანვარი

ფილადელფია 93:98 ორლანდო

ფილადელფია: სნოუ (8 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), აივერსონი (30), რობინსონი (20), ტომასი (3), კოულმენი (2); კორვერი (12), დალემბერტი (9 ქულა, 11 მოხსნა), სალმონსი (4), ჰამელტონი (3), მაკასკილი (2), ბაკნერი, მაკკი

ორლანდო: ლუ (7), ბოგანსი (13), მაკგრეიდი (33 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჰოვარდი (17 ქულა, 13 მოხსნა), დეკლერკი; გირიჩეკი (19), სტრიკლენდი (5), გუდენი (4), ფაჩულია (6 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა)

ნიუ ორლეანი 97:91 დენვერი

ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (18), სმიტი (11), ლინნი (4), ბრაუნი (16), მალუა (20 ქულა, 11 მოხსნა); ტრეილორი (13), ოგმონი (9), რუქსი (6), დრიუ

დენვერი: მილერი (16), ლენარდი (15), ენტონი (24), ნენე (6), კემბი (12 ქულა, 15 მოხსნა); ელსონი (8), ბოიკინსი (7), ვაიტი (2), ანდერსენი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

კლიპერსი 93:82 იუტა

კლიპერსი: რიჩარდსონი (29)

იუტა: ოსტერტაგი (16), არეოი (16)

ფინიქსი 84:86 სან ანტონიო

ფინიქსი: მერიონი (23)

სან ანტონიო: დანკანი (25)

მილუოკი 98:86 ტორონტო

მილუოკი: მეისონი (20), სკინერი (16)

ტორონტო: მარშალი (17)

ჩიკაგო 96:106 დალასი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (23)

დალასი: ნოვიცკი (26), ფინლი (23)

მემფისი 109:95 საკრამენტო

მემფისი: მილერი (27), უილიამსი (25 ქულა, 10 პასი), გასოლი (20)

საკრამენტო: დივაცი (17)

მინესოტა 80:79 დეტროიტი

მინესოტა: გარნეტი (22)

დეტროიტი: ოქური (21), ბილაფსი (18)

ინდიანა 74:78 ჰიუსტონი

ინდიანა: ონილი (31)

ჰიუსტონი: ფრენსისი (19), მინგი (17)

ატლანტა 94:96 ნიუ იორკი

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (25)

ნიუ იორკი: მარბერი (24)

მაიამი 85:64 ნიუ ჯერსი

მაიამი: ჯონსი (18)

ნიუ ჯერსი: მარტინი (16)

ბოსტონი 100:89 ვაშინგტონი

ბოსტონი: პირსი (24)

ვაშინგტონი: ბლეიკი (17)

24 იანვარი

პორტლენდი 87:105 გოლდენ სტეიტი

პორტლენდი: სტუდემაიერი (4), ანდერსონი (11), პატერსონი (9), რენდოლფი (23), ვოლესი (19); მაილზი (12), პერსონი (11), ვუდსი (2), სტეფანია (4 წუთი, 2 ქულა), დევისი, აუთლოო

გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (15), რიჩარდსონი (31), დანლივი (11), რობინსონი (11), დამპიე (18 ქულა, 20 მოხსნა); ჩინი (10), ჯონსონი (4), პიეტრუსი (3), კარდინალი (2), ფოილი

იუტა 86:93 ლეიკერსი

იუტა: სტივენსონი (17)

ლეიკერსი: მედვედენკო (26), პეიტონი (22), ბრაიანტი (21)

კლივლენდი 95:87 ფილადელფია

კლივლენდი: უილიამსი (20)

ფილადელფია: აივერსონი (32)

სიეტლი 102:97 კლიპერსი

სიეტლი: ალენი (41)

კლიპერსი: მეჯიტი (28), ბრენდი (26), რიჩარდსონი (22)

სან ანტონიო 96:98 ნიუ ორლეანი

სან ანტონიო: როუზი (20)

ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (35)

ნიუ იორკი 77:85 მაიამი

ნიუ იორკი: ჰარდეეი (18)

მაიამი: ჯონსი (26)

ვაშინგტონი 107:96 ინდიანა

ვაშინგტონი: ბრაუნი (25)

ინდიანა: ჰარინგტონი (21)

„პორტლენდმა“ ამასწინათ „საკრამენტო“ რომ დაამარცხა, ორეგონელთა თავკაცმა მორის ჩიკსმა ეტყობა ჩათვალა, გუნდი მყოლიაო და მერამდენე მატჩია, ესპერიმენტებს ხლართავს. პორტლენდს გუშინწინ ისე რა „გოლდენ სტეიტი“ ესტუმრა და ჩიკსმაც უცენტროდ დაიწყო თამაში, რაც გარკვეულწილად გახდა კიდეც მისი გუნდის ჩაფლავების მიზეზი.

ნეტავ, რას ფიქრობდა, როცა სასტარტო ხუთეულს ასახელებდა და დეილ დევისი არ გახსენებია, ვლადიმერ სტეფანია ხომ საერთოდ? შედეგად სტუმართა ცენტრმა ერიკ დემპიემ 18-ქულიანი 20-მოხსნიანი ბენეფისი მოიწყო.

დემპიე ფარქვეშეთში ისე გაბატონდა, გინდა დევისი შესულიყო მოედანზე და გინდ ვინმე სხვა, მისი გამჩერებელი ვერაფრით მოინახა. თანაც მხოლოდ სამწამიანში როდი ულხინდათ ოკლენდელებს, მათმა უკანასკნელმა ჯეისონ რიჩარდსონმა კარიერაში სარეკორდო 7 სამქულიანი ჩააგდო და „პორტლენდი“ მიჯრით მეოთხედ დამარცხდა „როუზ გარდენში“, სადაც ადრე ხანდახან მაინც იმარჯვებდა ხოლმე.

ვლადიმერ სტეფანიამ უმნიშვნელო დროით ითამაშა და საერთოდ, ეს უქმეები ქართველების არ ყოფილა. ნიკა ცქიტიშვილზე უკვე არაღარაფერს ვამბობთ, მან ნიუ ორლეანში თავისიანების წაგებას მოედნის კიდიდან უყურა. ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ“ კი თითქმის უქართველოდ პატარა სენსაცია გამოაცხო ფილადელფიაში.

ორლანდოელებს სტუმრად თვეზე მეტი იყო, არ მოეგოთ და არც ალენ აივერსონის სამფლობელოში ელოდა ბევრი მათ გამარჯვებას. მაგრამ მეჯიქორლანდოელ ტრეისი მაკგრეიდის დამხმარეებად ხორვატი გორდან გირიჩეკი და შარშან დრაფტის დასალიერში არჩეული კიტ ბოგანსი გამოუჩნდნენ და სოფელიც აშენდა.

თითმტკივანმა აივერსონმა წელებზე ფეხი დაიდგა და გვარიანად ჩამორჩენილი ფილადელფიელები სორენამდე 4 წუთით ადრე მეტოქეს 2 ქულით მიაახლოვა. თუმც მისი ამბოხი მაკგრეიდიმ პირადად ჩაახშო — უკანასკნელ წუთებზე ორლანდოელთა ლიდერმა ჭინკა ფილადელფიელს ორჯერ ასწაპნა ბურთი და წერტილიც ამით დასვა.

ვინ დააცალა, თორემ აბობოქრებული მინესოტელების პარპაშს დეტროიტელი ჩონსი ბილაფსიც დაასრულებდა. კევინ გარნეტის „სამგლე“ გუნდი ისევ გარდიგარდმო კრეფს მოგებებს და „დეტროიტიც“ არ გაუშვა კბილგაუკვრელად.

„მინასოტას“ მსაჯებმაც წაახმარეს ხელი. ამ მატჩის ბოლოს ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ გუნდებს თამაშისთვის განკუთვნილი 48 წუთი ბოლომდე არ ჩაუმთავრებიათ. ქულით ჩამორჩენილი დეტროიტელების უკანასკნელ ჩონსი ბილაფსს ისეთი ნაღდი ბურთი არ ჩაუთვალეს, რომ მათმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა ბოიკოტი გამოაცხადა და თავის შეგირდებს დარჩენილი 2 წამი აღარ ჩაამთავრებინა.



ტრეისი მაკგრეიდიმ „ფილადელფია“ შემუსრა

ბილაფსმა მთელი „მინესოტა“ მოატყუა და როგორც ამერიკელი ჟურნალისტები იტყობინებიან, წესების სრული დაცვით ჩააგდო გამარჯვების ბურთი, რომელიც მსაჯებმა არ ჩათვალეს, კევინ გარნეტს შეეჯახე ჰაერშიო.

„ვერ ვიხსენებ ასეთ უსამართლო მატჩს, ხოლო ასეთი ჯარიმა, მე რომ მომცეს, არც ვიცი, არსებობს თუ არა — განცვიფრებული იყო ბილაფსი — როცა ბურთით ჰაერში აფრინდები, ხელშეუხებელი ხარ, მე კი ერთბაშად ორი მეტოქე შემეჯახა, მაგრამ აქეთ დამაჯარიმეს.“

ამ უქმეებზე გამართული უამრავი მატჩიდან ერთსაც გამოვარჩევთ — „მემფისმა“ ლიგის უსტაბაშ „საკრამენტოს“ სძლია და მოგებათა სერია 7 მატჩამდე გაზარდა, რაც კლუბისთვის სარეკორდოდ ბევრია. ეს იყო ევროლიდერიანი გუნდების ჯახი და ესპანელმა პაუ გასოლმა სერბ პრედრაგ სტოიაკოვიჩს ავჯობა.

ვერ ვიტყვით, სტოიაკოვიჩზე მემფისური პუბლიკის შეძახილებმა იმოქმედა და იმიტომ ვერ ჩააგდო 11 ქულაზე მეტიო, მაგრამ მაყურებელი მართლაც რომ ღრენით ხვდებოდა ბურთთან ჰეჯას თითოეულ შეხებას. ხალხი ბრძენია და ახსოვს, რომ 23 დეკემბერს საკრამენტოში სტოიაკოვიჩმა პროვოკაციაზე წამოაგო მემფისელი ჯეიმს პოუზი, რომელსაც მაშინ დისკვალიფიკაცია ააკრეს.

„არა მგონია, რომ ხალხის ღრიანცელმა იქონია ჩემს თამაშზე უარყოფითი გავლენა — იხტიბარს არ იტეხდა ძლეული სტოიაკოვიჩი — ყვიროდნენ, ხურდას და სანთებელებს ხომ არ მესროდნენ?! ევროპაში უარესს უნდა ელოდე, იქ ხალხი ხშირად ყვირის და რაღაცეებსაც გესვრის.“

ირაკლი პერტაია

ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

REUTERS მელბურნიდან

აცრემლებულა ვინუსი

ვინუსს წყვილეზის ვირუსი შემეჭარა

— შაბათი. 24 იანვარი —

მესამე წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — **ტოდ რიდი** (ავსტრალია) 6:3, 6:0, 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — **იოახიმ იაჰანსონი** (შვედეთი) 6:1, 7:6 (7:4), 6:7 (5:7), 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — **უეინ ფერეირა** (31, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:4, 7:5; **მარკ ფილიპუსისი** (10, ავსტრალია) — **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) 6:4, 7:6 (7:2), 6:2; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — **ტიმ ჰენმანი** (11, ბრიტანეთი) 6:7 (5:7), 5:7, 7:6 (7:3), 7:5, 9:7; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:5), 6:2; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) 4:6, 3:6, 7:5, 7:6 (7:3), 6:4; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — **ალბერტ კოსტა** (26, ესპანეთი) 2:6, 7:6 (7:2), 6:2, 6:1

ქალები

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — **დინარა საფინა** (რუსეთი) 6:2, 6:1; **ლიზა რეიმონდი** (25, აშშ) — **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) 6:4, 7:6 (7:5); **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — **მარია შარაპოვა** (28, რუსეთი) 6:4, 1:6, 6:2; **ჩანდა რუბინი** (9, აშშ) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 6:3, 6:2; **პატი შნიდერი** (22, შვეიცარია) — **პაოლა სუარესი** (12, არგენტინა) 7:5, 6:3; **სილვია ფარინა ელენა** (20, იტალია) — **ემი ფრეზერი** (აშშ) 4:6, 6:1, 7:5; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — **ლინა კრასნორუცკაია** (23, რუსეთი) 6:2, 7:6 (7:4); **ნატალი დეში** (29, საფრანგეთი) — **საორი ობატა** (იაპონია) 7:5, 6:1

დღის უმთავრეს მოვლენად — ცხადია — კორტზე ექვსთვიანი შესვენების შემდეგ მობრუნებული ვინუს უილიამსის ოტება იქცა.

მართალია, ამდენი ხნის განმავლობაში ნაუქმები უფროსი შავდის მიერ მაინცდამაინც სლემტიტულის მოხვეჭას არავინ ელოდა, მაგრამ ვინმეს არც ის უფიქრია, ის მესამე წრეში და თანაც საწყვილოსნო სპეციალისტ ლიზა რეიმონდისგან თუ დაიჩოგნებოდა.

30 წლის ლიზამ ეს მატჩი თავისთავად საუცხოოდ ჩაითამაშა, თუმცა მოულოდნელი შედეგი უმთავრესად მაინც ვინუსის ფეთხუმობამ განაპირობა. ის ძალზედ არამობილიზებული იყო და ჯამში 44 უნებლიე შეცდომა მოაგროვა.

შოკში ვარ და დაჯერება მიჭირსო, ამბობდა მერე ვინუსი, ლიზამ კი მართლაც არაჩვეულებრივად ითამაშა და მასზე ალალიაო.

ალალი ლიზაზე მართლაც იყო, რაკიღა ავსტრალიის ღია პირველობაზე ის უკვე მეთერთმეტედ გამოდის და მესამე წრეს აქამდე ერთხელაც ვერ გასცილებოდა.

სხვაფრივ:

შაბათსვე 15 წლის რუსფრანგმა ტატიანა გოლოვინმა ისტორიულ თვისტომ ლინა კრასნორუცკაიას აჯობა და ზედიზედ მეორე განთესილი სკალპი მიითალა.

ამ ნაადრევად დაბრძენებულ პარიზელ გოგუცანას გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და ლიზა რეიმონდთან სადღეისო მატჩს უკვე თექვსმეტი წლისა გამართავს.

დღის ყველაზე დაძაბულსა და ხანგრძლივ ორთაბრძოლაში კი ერთმანეთს არგენტინელი გილერმო კანიასი და ბრიტანელი ტიმ ჰენმანი ერკინენ. მატჩმა 4 საათსა და 51 წუთს გასტანა და არგენტინელის გამარჯვებით დასრულდა. კანიასმა ორსეტიანი დეფიციტის აღმოფხვრა და ლამის წაგებული საქმის უკან შემოტრიალება შეძლო.

მეოთხე წრეში კანიასი თვისტომ დავიდ ნალბანდიას შეხვდება, ვინაც მორიგი დამაჯერებელი ბურთაობის შედეგად სძლია ვეტერან სამხრეთაფრიკელ ფერეირას.

ასევე სეტისწაუგებლად იმარჯვა ლეიტონ ჰიუიტმაც, მაგრამ 17 წლის ესპანელმა ჯადომუჩაჩო რაფაელ ნადალმა მას იოლად არაფერი დანება. მილეთი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მისი სახით მსოფლიო ჩოგბურთმა უნიჭიერესი და უმძლავრესი ვარსკვლავი შეიძინა.

ლეიტონს კი მეოთხე წრეში როჯერ ფედერერთან ბულრაობა მოუწევს. შვეიცარიელი ახლა ფანტასტიკურ ფორმაშია და ჰიუიტის თვისტომ ტოდ რიდს იმ დღეს 74 წუთში გადაურბინა.

მაგრამ ოზთა კისკას ჯილას ფედერერის წინააღმდეგ ერთი ბარაქიანი თულფი მოეძევება — ისინი ერთმანეთს ცხრაჯერ დაჯახებიან და აქედან შვიდი მატჩი სწორედ ჰიუიტს მოუგია. ბოლოჯერ მათ შარშან სექტემბერში მელბურნშივე, დევისის თასის ნახევარფინალში ითამაშეს და ოზი მაშინ ალპელს ხუთსეტიან განდაგანაში მოერია.



REUTERS მელბურნიდან

ამელი მორესმოს დედაკაცური ძალა მიყოლებით მუსრავს გოგონებს

— კვირა. 25 იანვარი —

მეოთხე წრე

კაცები

ენდი როდიკი (1, აშშ) — **სხენგ შალკენი** (16, ჰოლანდია) 6:1, 6:2, 6:3; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — **პარადორნ შრიჩაფანთან** (13, ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:3, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (9, საფრანგეთი) — **რობი ჯინეპრი** (32, აშშ) 6:4, 3:6, 6:4, 6:1; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) 7:6 (7:3), 6:3, 6:7 (6:8), 6:3

ქალები

ჟუსტინ ენინ-არდენი (1, ბელგია) — **მარა სანტანჯელო** (იტალია) 6:1, 7:6 (7:5); **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — **ალიშა მოლიკი** (ავსტრალია) 7:5, 7:5; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — **ვერა ზვონარიოვა** (11, რუსეთი) 6:1, 6:3; **ფაბიოლა სულუაგა** (32, კოლუმბია) — **ანიკო კაპროში** (უნგრეთი) 6:4, 6:2

ენდი-ენდი არ ვიცი!

რუსი ამერიკელის პირველობას არ ცნობს

ანდრე აგასის პარადორნ შრიჩაფანთან აქამდე მხოლოდ ერთხელ ეთამაშა და ის ერთიც — 2002 წლის უიმბლდონზე — ტაილანდელის გამარჯვებით დასრულდა.

პარადორნი ამ ჯერზე იმავის გამეორებას გეგმავდა, მაგრამ მეხუთე მელბურნული ტიტულის მაძიებელი 33 წლის ვეტერანი, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობაზე 1999 წლის შემდეგ აღარ დამარცხებულა, იქაურ მაგარსაფარზე თავს მართლაც ძალზედ შინაურულად გრძნობს.

რაღაც პრობლემები შებერებულ არმენოამერიკელს გუშინ მხოლოდ პირველ სეტში შეექმნა, როცა მეათე და მეთორმეტე გეიმებში ჯამურად ხუთი სეტპოინტისგან თავის დაცვა მოუხდა. მერე კი ყველაფერი ისე წავიდა, როგორც კარაქი პურზე — ტაიბრეიკის მოგების შემდეგ აგასიმ მატჩის სადავეები მაგრად ჩაბღუჯა და უკანასკნელ გათამაშებამდე აღარ მიუშვია.

სხვათა შორის, ეს მისი 250-ე სლემმატჩი იყო და რვაგზის სლემტიტულოსანი ფაკირი 45 მარცხის წილ უკვე 205 გამარჯვებას მოიძევს.

თავის 251-ე სლემმატჩში ის ფრანგ სებასტიან გროჟანს შეხვდება, მეჩოგნეს, ვისაც შარშანდელ მეოთხედფინალშიც აჯობა და ვინაც ბოლო ოთხ წელიწადში უკვე მესამედ ახერხებს მელბურნულ „რვეულში“ მოხვედრას. 2001-ში გროჟანმა ნახევარფინალსაც უწია და იქ თვისტომ არნო კლემანთან დათმო.

კიდევ უფრო გლაჯუნა მეოთხედფინალში კი ერთმანეთს ამქრის ამჟამინდელი და ოდინდელი პირველოსნები — ენდი როდიკი და მარატ საფინი დაეჯახებიან. როდიკმა გუშინ კორტწმინდად შემუსრა მე-16 ნომრად განთესილი ზორბა დაჩკაცი სხენ შალკენი, საფინმა კი ენდიბოის თვისტომი და დოსტი ჯეიმს ბლეიკი მოინელა.

შალკენის წინააღმდეგ თავისი თამაში როდიკმა ამ ტურნირზე საუკეთესოდ შეაფასა და, თუკი მეტოქის ხარისხს გავითვალისწინებთ, არც გაემტყუნებოდა. მან თავის პირველ მოწოდებათა 89 პროცენტზე იმარჯვა, შალკენის წილი კორტი 14 ეისით დაანაძოძა და მის მოწოდებებსაც უმჯობესად უხვდებოდა. ერთი სიტყვით — ძაან იჩოგნავა.

შეძლებს იმავის გამეორებას ამოუწყავი ილაჯის მქონე რუსთან, რომელთანაც მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის ლოსანჯელესობაზე უპაექრია და ორ სეტში ძლეულა?!

ენდიბოი ამბობს, რომ ისინი ძალზედ ერთნაირად ჩოგნაობენ — ორივეს მძლავრი მოწოდება აქვს და ამავე დროს ბადესთან მიმძალებლები არ არიან.

ხოლო საფინი ჯერ კიდევ შარშან, სეზონის დამლევს იცახდა, რომ მისი დამარცხების გარეშე როდიკის პირველოსნობას „ლეგიტიმურობა“ აკლია.

ამდენად მასთან ჩოგნაობას როდიკისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ეს შეიძლება (თუნდაც) სასლემტურნირო მეოთხედფინალს ჰქონდეს.

რაც შეეხებათ ქალებს, გუშინ გარჯილმა ლიდერებმა ისევ სეტწაუგებელი გამარჯვებები მიითვალეს. თუმცა ამქრის პირველოსანმა ჟუსტინ ენენმა მეორე სეტში რამდენიმე ძალზედ უსიამოვნო მომენტი გადაიტანა.

მსოფლიო რეიტინგსიის 129-ეადგილოსანმა მარა სანტანჯელომ ჭინკა ბელგიელს მართლაც დიდი ბრძოლა გაუმართა და გადამწყვეტი გათამაშებისას ოდნავ უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, ენენს ზედმეტ სეტსაც ათამაშებდა.

ასეა თუ ისე, ფავორიტი გაჭირვებას მაინც დაუსხლტა და სანახევარფინალო საგზურისთვის 2000 წლის ჩემპიონ ლინდსი დევენპორტთან იბრძოლებს.

ენენი თვლის, რომ ლინდსი ამ შეხლის ფავორიტი იქნება: „ის დიდი ჩემპიონია, უდიდესი გამოცდილება აქვს და, რაც მთავარია, ჩვენი დაპირისპირების უმეტესი ნაწილი მისი გამარჯვებით დამთავრებულა.“

ეს მართლაც ასეა — მათ აქამდე ექვსჯერ უთამაშიათ და დევენპორტი ენენს 5:1 უგებს. ეს ერთადერთი მოგებაც ჟუსტინმა შარშან, მელბურნშივე მოიპოვა — ოღონდ მეოთხე წრეში.

ლინდსიმ თავის მხრივ გუშინ 19 წლის რუსგოგო ვერა ზვონარიოვა დაამწუხრა. მილეთი მოელოდა, რომ რუსი მას უფრო მეტად გაუძალიანდებოდა, მაგრამ 27 წლის სამგზის სლემტიტულოსან ამერიკელს მოგება გაცილებით იოლად ერგო.

გუშინვე გაირკვა მეორე მეოთხედფინალური წყვილიც და საამწყვილო ფავორიტის დასასახელებლად არავინ ყოყმანობს. ამელი მორესმო ახლა საოცრად თავდაჯერებულია, მაგარ ჯანზეა და ვინმეზე ნაკლები ეგებ უკვე აღარც გამოცდილება დაეკვეხოდეს. სხვა თუ არაფერი, ის ტურნირის 1999 წლის ფინალისტი გახლავთ.

ადგილობრივთა ფალავან ალიშა მოლიკს, ვინაც პირველად გააღწია მშობლიური სლემტურნირის მეოთხე წრეში, ის უფრო აგრესიულად ეთამაშა და გადამწყვეტიც სწორედ ეგ იყო.

ლევან კელაურაძე

REUTERS მელბურნიდან

ენდი როდიკს მეოთხედფინალში მარატ საფინთან გამოცდა ელის

დღეს ქართული რაგბი მეთაურს ირჩევს

დღეს, 11 საათზე სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში რაგბის კავშირის ყრილობა დაიწყება. ყრილობის ძირითადი ნაწილი დღის წესრიგის ბოლო საკითხი, საპრეზიდენტო არჩევნები იქნება. ხმის უფლების მქონე ოცდარვა დელეგატს მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძესა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მერაბ ანთაძეს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. უშუალოდ ყრილობამდე ხმამაღალი განცხადებებისა და მოწინააღმდეგის კრიტიკისგან ორივე ჯგუფი თავს იკავებდა. დაძაბულობა კულმინაციას დარბაზში მიაღწევს. ეს აქედანვე ცნობილია, ისევე როგორც ის, რომ მასმედიას არ ექნება საშუალება, ყრილობას თვალი მიადევნოს.

ძველი წესდების შეცვლის შემდეგ ხმების თითქმის სამჯერ შემცირების გამო ხმამაღლა უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. დელეგატთა გაწბილების მიზეზი ხმების გადანაწილება უფრო იყო და კამათის მთავარი თემა ალბათ სწორედ ეს გახდება.

წინასწარ შანსებზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, თუმც კულუარული ინფორმაციით, რაგბის კავშირი ფარული კენჭისყრის ჩატარებას შეეცდება, ამ გზით ბიძინა გეგიძე ცოტა მეტ ხმას მიიღებსო. მერაბ ანთაძის მომხრეებს კი ამ პროცესის ღიად წარმართვა აძლევთ ხელს. სხვათა შორის, ეს პრინციპული საკითხი არჩევნებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაწყდება.

იმდენს ვიშოვით, რამდენიც საჭიროა!

მერაბ ანთაძე ქართული რაგბის საქართველოში აყვავებას გვპირდება

ამ უქმეებზე დეპარტამენტის დარბაზში მერაბ ანთაძის პრესკონფერენცია გაიმართა და პრეზიდენტობის კანდიდატთან ერთად ჟურნალისტთა ინტერესი დააკმაყოფილეს მისი გუნდის წევრებმა იურისტმა გოჩა სვანიძემ და ბიზნესმენმა ლევან იოსელიანმა.

მერაბ ანთაძე: „რაგბის განვითარების გეგმაში ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი შიდა ჩემპიონატის, საკლუბო დონისა და ყველა ასაკის გაძლიერება იქნება. ბუნებრივია, პირველივე კითხვა, რაც დაგებადებათ, ფინანსებს შეეხება. მის გარეშე ყოველგვარ წინსვლაზე ფიქრი წარმოუდგენელია. პირდაპირ გეტყვით, რომ უკვე სერიოზულად ვიმუშავეთ და საკმაოდ ძლიერი წყაროებიც დავაინტერესეთ. მეორე საკითხი, რაც აქედანვე გასათვალისწინებელია, სისტემის შეცვლის საჭიროებაა. აუცილებლად უნდა შემუშავდეს წინასწარი ყოველწლიური გეგმაც, რომელიც ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული და გამჭვირვალე იქნება.

...დღეს რაგბიში უამრავი პრობლემაა. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი საკლუბო ინტერესების დაუცველობაა. არათუ სტადიონები და ბაზა, ქართულ კლუბებს არანაირი მწყობრი სისტემა არა აქვთ. მოზიდული ფინანსები ძირითადად მათ დასახმარებლად იქნება გადანაწილებული. კლუბებს ხელს შევუწყობთ მანამ, სანამ განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნას არ მოახერხებენ. ჩვენი მთავარი საფიქრალი ესაა, თუმც არანაკლები ყურადღებაა მისაქცევი ბავშვთა რაგბის განვითარებაზე, რეგიონებში რაგბის პოპულარიზაციასა და სტადიონების გამოყოფაზე. მოსაგვარებელია მსაჯთა საკითხიც. ნებისმიერი წვრილმანი სამთავრობო დონეზე გადაწყდება, თან ისე, რომ დაფარული არავისთვის არაფერი იყოს.

...ისმის კითხვა, მოვახერხებ თუ ვერა გამარჯვების შემთხვევაში ორი საპასუხისმგებლო თანამდებობის შეთავსებას. ამაზეც ვიფიქრე და სამინისტროში ბევრ რამეზე უკვე უარიც ვთქვი. რაგბი ჩემი ცხოვრების უმვირფასესი ნაწილია და იმ გეგმას, რომელიც მიზნად დავისახე, ჩემგან ერთი წუთიც არ მოაკლდება.“

ლევან იოსელიანი: „15 წელია, კერძო ბიზნესში ვტრიალებ. გარკვეული რეპუტაციის შექმნაც მოვასწარი და გარწმუნებთ, ქართულ რაგბის ფინანსური კრიზისი არ ემუქრება. ჩვენი პროგრამა საკმაოდ სერიოზულია, თუმცა პირველი წელი ალბათ ცოტა არაორგანიზებულად მოგვიწევს ფინანსების მოზიდვა. მიზეზი ელემენტარულია — არ არსებობს არანაირი ბიუჯეტი. არც შემოსავლითი და არც ხარჯვითი ნაწილი ჩვენთვის ცნობილი არაა. პირდაპირ გეტყვით, არ ვიცით, რისთვის რამდენია საჭირო, თუმც ისეც ნუ გაიგებთ, ეს რამეში ხელს შეგვიშლის. იმდენს ვიშოვით, რამდენიც საჭირო იქნება. სამომავალწლოდ კი რეალურ ბიუჯეტს დავგეგმავთ.

...მსოფლიოში აპრობირებული წესია, ნებისმიერ დიდ ნაკრებს ერთი გენერალური და დანარჩენი ჩვეულებრივი სპონსორები ჰყავს. ამჟამად ორი რეალური არჩევანი გვაქვს ფრანგულ კომპანიებზე, რომელთა ბიუჯეტებიც მთელ საქართველოსაზე მაღალია. მათგან ერთ-ერთი გენერალური სპონსორი გახდება, თუმც არც მეორეს დავკარგავთ. არის სხვა სერიოზული შემოთავაზებებიც.“

გოჩა სვანიძე: „იმ პრობლემების გამო, რომლებიც რაგბის კავშირში დღესდღეობით არსებობს, რაგბის განვითარება უბრალოდ შეუძლებელია. პირველ რიგში ერომანეთში ნდობის ფაქტორის გაზრდა და ფუნქციათა გადანაწილებაა საჭირო.

...ყველანაირი შიდა თუ გარე ურთიერთობა გამჭვირვალე უნდა იყოს. რაგბის კავშირი ის ორგანიზაცია გახდება, რომელიც სპორტის განვითარებას მთლიანად თავის თავზე აიღებს. მთავარია შედეგი და არა მიზანი.

...ერთ-ერთ გაურკვეველ საკითხად ხმების გადანაწილება რჩება. ჩვენ მასზე არანაირი პრეტენზია არ გამოგვითქვამს და არც ახლა გვინდა ვთქვათ, რომ ვიღაც ცუღლუტობს. ჩემი ხედვით, ჩვენ ოპონენტები უნდა ვიყოთ არჩევნებამდე და არა მის შემდეგ. თუმც გამარჯვება ყველაფრის ფასად არ უნდა მოხდეს.“

ოთარ მაღლაკელიძე

ხმების უფლების მქონე ქართული კლუბები

აია	2
აკადემია	5
არმაზი	1
აჭარა	4
დინამო	1
ლელო	4
ლოკომოტივი	1
უნივერსიტეტი	2
ხულიგანა	2
ყოჩები	4
ქუთაისის 27-ე სკოლა	2

ბაჩანა კასელაძის ფოტო

ლევან იოსელიანი, მერაბ ანთაძე და გოჩა სვანიძე რაგბის სათავეში მოსვლას კონკრეტული გეგმით აპირებენ

WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
I ეტაპი მონტე კარლო



რალის სეზონი სიტროენელი სებასტიან ლოების გამარჯვებით გაიხსნა

მონაკოს ალაგ-ალაგ დათოვლილ გზებზე რბოლით დაიწყო მერალეთა 26-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. წლეულს 16 ეტაპი გაიმართება, შარშანდელზე ორით მეტი. ჯალენდარს შეემატა იაპონიის და მექსიკის რალი. საგრძნობლად გადახალისდა გუნდების შემადგენლობები. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონატს დაუბრუნდა ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი საჯინიბო „მიცუბისი“, რომლის ლირსებასაც დაიცავენ ყოფილი პეჟოელი ჟილ პანიზი და ორი ახალბედა, იტალიელი ჯანლუიჯი გალი და ფინელი ჯრისტიან სოლბერგი

დინოზავრები გადაშენდნენ

რალი უჩემპიონებოდ იწყებს

შარშანდელი პირველობის შემდეგ სამმა მსოფლიოს ჩემპიონმა დატოვა სარბიელი. 39 წლის ფინელი, ოთხგზის გვირგვინოსანი ტომი მაკინენი საკუთარი სურვილით გავიდა პენსიაზე, შოტლანდიელი კოლინ მაკრეი უბედურო, მეშვიდე ადგილის გულისთვის გაუშვეს „სიტროენიდან“, ხოლო რიჩარდ ბარნსი ავადმყოფობის მიზეზით გამოვიდა მწყობრიდან. 32 წლის ინგლისელს ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა. ექიმები კი ამბობენ, ერთ წელში ფეხზე დავაყენებთო, მაგრამ ვინ იცის, იქნებ საერთოდ ველარ მიუჯდეს საჭეს. არადა, მას უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი „სუბარუსთან“ მაკინენის ადგილზე. ბარნსის შემდეგ მაკრეიზეც იყო ლაპარაკი, თუმც საბოლოოდ იაპონური კონცერნის ხელმძღვანელობამ შარშანდელ ჩემპიონ პეტერ სოლბერგს 23 წლის ფინელი მიკო ჰირვონენი შეუამხანაგა.

წასვლაზე ფიქრობდა სადღეისოდ ყველაზე ხნიერი პილოტი კარლოს საინსიც, მაგრამ 41 წლის ესპანელმა „მატადორმა“ ყოყმანის შემდეგ მერალის ცხოვრება კიდევ ერთი სეზონით გაიხანგრძლივა.

მონტე კარლოს სამდღიან საწვალებელში მძღოლ-შტურმანის ოსტატობის გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბურავების ზუსტად შერჩევას სწორედ აქა-იქ ასფალტისა და თოვლის გამო. ამ მიზეზით ბევრი ეკიპაჟი დაზარალდა, მათ შორის სოლბერგი და გრონჰოლმიც თავის ახალთახალ „პეჟო 307“-ით. თავიდან სწორედ გრონჰოლმი დაწინაურდა, მაგრამ ორი ჩქაროსნული მონაკვეთის მოგების შემდეგ სიჩქარეთა კოლოფი გაუფუჭდა და ლიდერობის დათმობა მოუხდა. სოლბერგს კი მცირე ავარია შეემთხვა, რამაც საკმაო დრო დააკარგვინა.

პირველი დღის მიწურულს შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ სებასტიენ ლოებისა და მის მონაკოელ თანამძღოლ დანიელ ელენას „სიტროენი“ გაიჭრა წინ. გრონჰოლმის „პეჟო“ და ესტონელ მარკო მარტინის „ფორდი“ ერთხანობა კუდში კი მიყვებოდნენ, მაგრამ წამოწევის შანსი არ მისცემიათ. ლოებ-ელენას ტანდემმა ურთულესი დისტანცია უშეცდომოდ გაიარა, არც მანქანას უღალატია და ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა ჯუჯა მონაკოს შემოგარენში.

მეორე ეტაპი 6-8 თებერვალს შვედეთში გაიმართება.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	4 სთ; 12.03,0
2 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	ჩამორჩა 1.12,6
3 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი)	1.19,6
4 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	1.26,8
5 ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო)	8.16,9
6 ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი)	10.11,6
7 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	10.42,2
8 ოლივიე ბური (საფრანგეთი, სუბარუ)	17.49,1

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ VI ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲕᲐᲨᲚᲔᲑᲘ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ. 22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ–1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲔᲡᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ?!

ᲨᲕᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲓᲐᲣᲛᲢᲘᲪᲔᲡ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 29:27 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 35:24 ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 26:25 ᲓᲐᲜᲘᲐ
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ 33:27 �პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ
ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ 37:33 ᲩᲔᲮᲔᲗᲘ
ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ 32:29 ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ
�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 41:32 ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 23:20 ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ 25:22 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 30:27 ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ
�პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ 32:32 ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ
ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ 30:30 ᲩᲔᲮᲔᲗᲘ
�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 29:29 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ
ᲓᲐᲜᲘᲐ 24:20 ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ
ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ 29:29 ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ
ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ 38:29 ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

სლოვენიაში მიმდინარე ხელბურთის ევროჩემპიონატმა პირველი ეტაპი მოილია — ოთხ ჯგუფში გადანაწილებული 16 გუნდიდან 12 რჩეული მეორე, ასევე გუნდურ ეტაპზე გადაბარგდა, ბოლოადგილოსნებს კი ბედთან შერიგებაღა დარჩენიათ.

ტურნირი საკმაოდ საიტერესოდ მიმდინარეობს და პრინციპულ მატჩებს არც მაყურებელი აკლია, მით უმეტეს, მასპინძელ სლოვენიელთა შეხვედრებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველმხრივ ფერზე მოსულ სლოვენიელებს არც სპორტში უჭირთ, ეს ციცქნა ერი კონტინენტის საფეხბურთო და საკალათბურთო პირველობებზე ხვდება და ხელბურთში რა ალპური ზვავი დაეცემოდა. თავიანთ C ჯგუფში ორი სუსტი მეტოქის ძლევით სლოვენიელებმა წინდაწინვე მოითავეს საქმე და პირველობაში შეცილებულ უნგრელებთან თავი დაზოგეს, თუმც მათთან მიღწეული ფრითაც გაიტანეს თავისი.

გაცილებით შფოთიანად ჩამთავრდა A და B ჯგუფების მატჩები. მსოფლიოს ჩემპიონმა ხორვატებმა პირველობა კი მოიპოვეს, მაგრამ რა ფასად — პირველ ტურში ესპანელთა სკანდალურად ძლევის (გადამწყვეტი ბურთი ბოლო წამზე გაიტანეს) შემდეგ, ჭადრაკდაფიანელებმა მეორეშიც მინიმალური სხვაობით მოიგეს — აქაც, დანიელებს დამთავრებამდე 13 წამით ადრე შეუგდეს ბოლო ბურთი. ამბობენ, ღმერთი სამობითააო, მაგრამ ხორვატებს მაჩანჩალა პორტუგალიასთან იგივე აღარ გაუვიდათ. პირინეელები თითქოს უსუსურები ჩანდნენ მძლავრი ბალკანელების წინაშე, პირველი ნახევრის შემდეგ სამ ბურთსაც აგებდნენ, მაგრამ მათ უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს, ვიდრე ხორვატებმა წინა მატჩებში და ღირსეულ ფრეს მიაღწიეს. მართალია, ამით არა ეშველათ, მაინც გავარდნენ თუმც სულ შერცხვენილები ხომ არ წამოვლენ სლოვენიიდან და ესეც საქმეა.

კიდევ ერთი გავარდნილს, საკმაოდ სიმპათიურ უკრაინას ესეც არ შეხვდა ურთულეს A ჯგუფში. უკრაინელებმა აქ თავისთავად ვერა დააკლეს ევროპის ჩემპიონებს შვედებსა და რუსებს, ბოლოს კი შვეიცარიასთანაც დათმეს.

ბოლო ტერში ერთმანეთს ევროჩემპიონები გადაეყარნენ. შვედები კონტინენტის ხუთი პირველობიდან ოთხის მომგებნი არიან, რუსები „მხოლოდ“ ერთის და აქედან გამომდინარე ზედაპირული ლოგიკა სკანდინავიელთა გამარჯვება გვკარნახობდა. მით უმეტეს, რომ შვედები საკმაოდ კომფორტულად გრძნობდნენ თავს სხვა მეტოქეებთან — უკრაინას 6 ბურთით მოუგეს, შვეიცარიას — 11-ით.

მაგრამ გამარჯვება რუსებს შეხვდათ. შვედებმა, როგორც ფავორიტებმა საკმაოდ ინერვიულეს და შეტევაში ხელი აუკანკალდათ. ვერც მკვიდრი დაცვა ააშენეს — მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ ხანდაზმულ ვარსკვლავებს ვისლანდერს და ოლსონს შესამჩნევად უჭირდათ დაუდეგარი რუსების მოძალების შეკავება. ჩემპიონები (მოქმედი) სანამ ჩემპიონურ შემართებას მოიკრებდნენ, რუსეთი უკვე ექვსი ბურთით იგებდა და დარჩენილ 12 წუთში მეტოქეს მხოლოდ სამის გაქვითვის ნება უბოძა.

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	3	0	0	87:74	6
ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ	2	0	1	93:79	4
ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ	1	0	2	69:85	2
უკრაინა	0	0	3	74:85	0

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ	2	1	0	88:86	5
ᲓᲐᲜᲘᲐ	2	0	1	85:78	4
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ	1	0	2	82:81	2
პორტუგალია	0	1	2	91:101	1

C ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ	2	1	0	100:90	5
ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ	2	1	0	91:83	5
ᲩᲔᲮᲔᲗᲘ	0	1	2	88:97	1
ისლანდია	0	1	2	87:96	1

D ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	2	1	0	81:74	5
ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ	2	0	1	86:78	4
�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	1	1	1	96:89	3
ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ	0	0	3	86:108	0

ᲕᲔᲘᲙ ᲐᲜ ᲖᲔᲔᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. 9-25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲕᲘᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲕᲘᲨᲕᲘᲨᲔᲡ

ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ვიშვანათან ანანდის საკმაოდ გაწელილი მოგებათა სერია შეწყდა. მეთორმეტე ტურში ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და მოჭადრაკეებს დაკარგული იმედი დაუბრუნა. შეგახსენებთ, რომ მეთერთმეტე ტურში ინდუსმა ჰოლანდიელ ვეტერან იან ტიმანს სძლია და მდევრებს გადასწრების მცირე იმედი კიდევ უფრო შეუკვეცა.

წაგების მიუხედავად, მაინც ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ტურნირს ანანდი მოიგებს, მაგრამ შეიძლებოდა, ინდუსს საქმე გართულებოდა, უნგრელ პიტერ ლეკოს რუს ევგენი ბარეევთან რომ ემარჯვა. როგორც ჩანს, მადიარი თავიდანვე იმედწარკვეთილი იყო, ანაც ტურნირს უბრალოდ, გასართობად ეწვია. საკვირველია, მაგრამ პარტიების უმეტესობაში უნგრელი მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებზე ძლიერი იყო, თითქმის უწვალებლად თანხმდებოდა ყაიმზე და ამით მრავალი ძვირფასი ქულა თუ ნახევარქულა დაკარგა. ლეკო ნახევარი ქულით ჩამორჩება ინდოელს და ბარეევთან მოგების შემთხვევაში ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ტურის „გმირი“ ტოპალოვი ანანდთან თეთრებით გამოვიდა. ინდუსმა თავიდანვე შემტევი თამაში აირჩია, ჯაბანი არც რუსი გამოდგა და „ძალას“ „ძალა“ დაუპირისპირა. ვიში მისგან ალბათ ასეთ „თავხედობას“ არ მოელოდა, ცოტა დაიბნა და ტოპალოვიც დაეუფლა უპირატესობას. შავებმა მეფის დაცვა გააძლიერეს, თუმცა ცოტა დააგვიანეს და თეთრებმა ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს.

მოიგო ინგლისელმა მაიკლ ადამსმა. ბრიტანელმა გასულ ტურში ანანდისაგან დაბრიყვებული ტიმანი დაამარცხა. ადამსი თავიდანვე დიდ დარტყმებს მოერიდა, ერთიორი ფიგურა გაუცვალა მეტოქეს, რამდენიმე დამაბნეველი მანევრი განახორციელა და დიდი შეტევისთვის მზადებას შეუდგა. 17-დან 23-ე სვლამდე მეტოქენი საკუთარ ტერიტორიას არ გასცილებიან და დაფაზე მოჩვენებითმა მშვიდობამ დაისადგურა. ამ დროში კი ინგლისელმა არმიის უკეთ მობილიზება შეძლო და მეტოქეს გემოზე უთაქა. 14 სვლაში როგორღაც შეძლო ტიმანმა ბრიტანული ჯარის შეკავება, თუმც საბოლოდ მიხვდა, რომ მასთან ჭიდილი უაზრობა იყო და ხელები აწია.

C ჯგუფში ჩვენთვის საინტერესო გასული ტური იყო. ქართველი მერაბ გაგუნაშვილი თეთრი ფიგურებით გაჰოლანდიელებულ თეა ბოსბომ-ლანჩავას შეხვდა და მე-9 სვლაზე სწრაფი ყაიმით დაუსრულა პარტია. მომდევნო ტურში მერაბი მასპინძელ რუუდ იანსენს დაუპირისპირდა. 75 სვლა ეთამაშა მეტოქეს, თუმც ხეირიანი ვერაფერი შექმნა და დამარცხდა.

ᲚᲐᲛᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

1 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	8 ქულა
2 პიტერ ლეკო (უნგრეთი)	7,5
3 მაიკლ ადამსი (ინგლისი)	7,5
4 ვესელინ ტოპოლოვი (ბულგარეთი)	6,5
5 ვიქტორ ბოლიგანი (მოლდავეთი)	6,5
6 ლუკ ვან კელი (ჰოლანდია)	6
7 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	6
8. ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი)	6
9 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	6
10 პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	5,5
11 ევგენი ბარეევი (რუსეთი)	5,5
12 ივან სოკოლოვი (ჰოლანდია)	4,5
13 ჩუან ჩუონი (ჩინეთი)	4,5
14 იან ტიმანი (ჰოლანდია)	4

C ᲯᲒᲣᲤᲘ

1 მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	10
5 მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)	7

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ



ᲘᲐᲒᲠᲡ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲛᲝᲚᲮᲕᲓᲐ

23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 2:3 ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ
1:1 0:2 1:0
0:1 პაპინო (4), 1:1 ჰილი (16), 1:2 ჰეკა (24), 1:3 ჰანტერი (40), 2:3 უილიამსი (44)

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 4:1 ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
1:0 2:0 1:1
1:0 ოდეტი (6), 2:0 რიჩი (22), 3:0 კოლნიკი (32), 3:1 კვიატკოვსკი (43), 4:1 ოდეტი (46)

ᲜᲘᲣᲯᲔᲠᲡᲘ 2:0 ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
1:0 1:0 0:0
1:0 ელიაში (17), 2:0 მარშალი (25)

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 2:0 ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
1:0 0:0 1:0
1:0 დაუნი (17), 2:0 ბუშე (57)

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 6:2 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ
0:1 1:1 5:0
0:1 დეიგლი (11), 1:1 სიკორა (34), 1:2 დეიგლი (37), 2:2 პროსპალი (46), 3:2 ლუპული (51), 4:2 ნიდერმაიერი (54), 5:2 პროსპალი (55), 6:2 პროსპალი (58)

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 2:3 ᲓᲐᲚᲐᲡᲘ
0:0 2:2 0:1
1:0 დემიტრა (22), 1:1 არნოტი (34), 2:1 მელნბი (35), 2:2 ოლივერი (38), 2:3 ლეჰტინენი (50)

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 2:1 ᲑᲣᲤᲐᲚᲝ
1:0 1:1 0:0
1:0 რენიკი (4), 1:1 კოტალიკი (22), 2:1 რენიკი (30)

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 0:3 ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ
0:1 0:0 0:2
0:1 ვეინჰანდლი (10), 0:2 კვაშა (45), 0:3 შამი (60)

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 1:2 ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
0:2 0:0 1:0
0:1 კოლნიკი (4), 0:2 ბურე (12), 1:2 ბერტერონი (59)

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲣᲡᲘ 4:3 ᲩᲘᲙᲐ�გᲝ
0:0 3:1 1:2
0:1 სალივანი (24), 1:1 ნუში (26), 2:1 მალოტრა (31), 3:1 ნუში (32), 4:1 რაიტი (45), 4:2 რუუტუ (51), 4:3 სალივანი (60)

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 1:4 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ
0:0 1:3 0:1
1:0 ზედნიკი (30), 1:1 მაკკეიბი (32), 1:2 ნუინდაიკი (37), 1:3 რენბერგი (39), 1:4 სუნდინი (54)

ᲕᲘᲜᲘᲫᲡᲘ 5:2 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
2:1 2:1 1:0
1:0 ლენგკოუ (1), დაცოუკი (7), 2:1 სუხი (13), 3:1 ჰრდინა (24), 3:2 შნაიდერი (29), 4:2 კლირი (39), 5:2 რადივოიევიჩი (60)

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 4:0 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ
2:0 1:0 1:0
1:0 დიმიტრაკოსი (4), 2:0 პრიმო (15), 3:0 მაკოლი (33), 4:0 მაკოლი (44)

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 4:2 ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ
1:1 3:0 0:1
1:0 პირნესი (8), 1:1 ნიდერმაიერი (13), 2:1 ეფერი (22), 3:1 კორკო (22), 4:1 რობიტაილი (38), 4:2 პროსპალი (53)

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 2:6 ᲢᲐᲛᲞᲐ
1:1 1:4 0:1
1:0 მაკამონდი (11), 1:1 სან ლუი (20), 1:2 სან ლუი (27), 2:2 ფულინა (30), 2:3 რიჩარდსი (32), 2:4 ტეილორი (35), 2:5 სან ლუი (39), 2:6 ფედოტენკო (43)

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 3:4 ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
0:2 0:2 3:0
0:1 იუჰანსონი (6), 0:2 ლეგვანდი (10), 0:3 იუჰანსონი (25), 0:4 არხიპოვი (38), 1:4 დვორეკი (43), 2:4 მორი (43), 3:4 ტორესი (60)

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 3:5 ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ
1:1 0:3 2:1
0:1 საკიკი (2), 1:1 სუროვი (12), 1:2 ფორსბერგი (22), 1:3 სელიანე (34), 1:4 კონოვალჩუკი (39), 2:4 კრაფტი (43), 3:4 ორბიკი (52), 3:5 ფორსბერგი (56)

ᲝᲢᲐᲕᲐ 9:1 ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ
4:0 3:0 2:1
1:0 სპეცა (7), 2:0 სმოლინსკი (11), 3:0 ხარა (14), 4:0 სმოლინსკი (18), 5:0 ალფრედსონი (24), 6:0 ბონჯი (25), 7:0 ლანგფელდი (32), 7:1 ბარნაბი (45), 8:1 ხარა (55), 9:1 ჰავლატი (60)

იარომირ იაგრი ხათაბალაში გაება, თან საკუთარი ნებით. ჩეხი მთელი სეზონის განმავლობაში წუწუნებდა, არ მომწონს „ვაშინგტონი“, სადმე გამიშვითო. გული განსაკუთრებით „რეინჯერსში“ მიუწევდა. რა ხდება ამ ბობოლა კლუბში ყველას კარგად მოეხსენება და რა თქმა უნდა, იარომირმაც იცოდა. 7 წელია, ვერ გამოდის ნიუიორკული კლუბი ჩიხიდან და იქ რამდენი ვარსკვლავიც მივიდა, ყველა საკუთარ ჩრდილად იქცა. ვერავინ აჩვენა თავისი ოსტატობა. ამიტომაც შეარქვეს ამ გუნდს „ვარსკვლავების სასაფლაო“.

ეს თავისთავდ უწყოდა იაგრიმ, მაგრამ მაინც ჯიუტად ლამობდა „რეინჯერსის“ ფორმაში გამოწყობას და პარასკევს აუხდა კიდეც ეს ნატვრა. „ვაშინგტონი“ შეელია იაგრს და მისი ვეებერთელა ხელფასიც „რეინჯერსს“ გადაულოცა. კომპენსაციის სახით მან ენსონ კარტერი მიიღო (სხვათა შორის, ეს შავკანიანი ფორვარდი ნიუ იორკში გადასვლამდე „ედმონტონის“ ლიდერი იყო).

მეორე დღეს იაგრმა დებიუტი გამართა ახალ კლუბში, მაგრამ... ერჩივნა, ეს დღე არ გასთენებოდა. ჩეხისა და მისი ახალი პარტნიორების შეტევები პირველ ცვლებშივე ოფსაიდით დასრულდა, ვინაიდან იაგრმა დააყოვნა მეტოქის ზონაში შეჭრა და ამის მერე სტუმრები მთლად დაინავსნენ. მათდა საუბედუროდ, იმ დღეს „ოტავა“ განსაკუთრებულ მადაზე იყო და მეტოქეს შავზე შავი დღე აყარა. „რეინჯერსმა“ კი ცვალა მეკარეები — პირველ და მესამე პერიოდში იუსი მარკანენი იცავდა კარს, ხოლო მეორეში ჯეისონ დაბარბერა — მაგრამ ამ რადიკალური ზომებითაც ვერაფერი გააწყო. 9:1 — ასეთი სირცხვილი „რეინჯერსს“ 16 წელიწადია, არ უჭამია. იმ ერთადერთ გოლშიც არ მიუღია იაგრს მონაწილეობა. მას ეთრხელ მიეცა შანსი, მაგრამ ბოლო მომენტში დანიელ ალფრედსონმა ყვანჯი ააწევინა და ამით შეუშალა ხელი.

„ცხადია, ისეთი სტარტი არ მქონდა, როგორზეც ვოცნებობდი. რა დაგიმალოთ, თითქოს თავში რაღაც ჩამარტყეს. ამას არანაირი გამართლება არა აქვს და რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს“ — ცოტა დაბნეული ჩანდა ჩეხი ნამატჩევს.

ძველებური შეჯიბრი

ტალდიყურღანში, ყაზახეთის სტეპში შეიკრიბნენ ყაზაზთა მიწის გამოჩენილი ბაზიერები. ალმათიდან ბარე სამას კილომეტრზე დაშორებით ორდღიანი საბაზიერო შეჯიბრი გაიმართა ამ ძველ ნომადურ სპორტში. სანადირო არწივთა თვინიერობა და გონიერება დიახაც, საინტერესო საცქერი იყო.



კობის უსმენენ

იგლ ქაუნთიში გრძელდება „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ვარსკვლავის, კობი ბრაიანტის საქმის მოსმენა. ბრაიანტს მავანი გოგოს გაუპატიურება ედება ბრალად. პარასკევს ვარსკვლავმა განაცხადა, რომ შარშან ივნისში, ერთ სამთო კურორტზე მართლაც თანაეყო ამ ქალს, ოღონდაც ურთიერთშეთანხმებით და არა ძალადობით, ვინაიდან საძალაო არაფერი ყოფილა.

მელბურნის სახეები

ახლა მელბურნში მრავალ გამოჩენილ ვინმეს ნახავ, ავსტრალიის ღია პირველობა ბევრ ჩოგბურთის მოყვარეს იზიდავს. მაგალითად, იქაა ძველი დროის მომღერალი და კაი კაცი, სერ კლიფ რიჩარდი, რომელიც მარკ ფილიპუსისა და ხორვატ მარიო ანჩიჩის თამაშს უცქერს. ფილიპუსისმა სამ სეტში მოიგო, ისევე, როგორც როჯერ ფედერერმა, რომელმაც მთლად იოლად დაამარცხა ფილიპუსისის ოზი თანამემამულე ტოდ რიდი. შვეიცარიის ახალი სიამაყის, ფედერერის საცქერლად კი ტერასაზე, ცხადია, იჯდა აწ პენსიონერი, ასევე შვეიცარიის სიამაყე მარტინა ჰინგისი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge